1981

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარეტბი
ყველა
ქვეყნისა,
შეერთდით!

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 7
ივლისი
1981

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

16 910

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს
უწყებები

№ 7 (487) ივნისი 1981 წელი

შინაარსი

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

139. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების და საბჭოთა საქართველოს და საქართველოს კომპარტიის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ზეიმზე გამოსვლებში აშხანგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ჩამოყალიბებული დებულებების, დასკვნებისა და მითითებების შესასრულებლად საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების შესახებ.

131. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე.
კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ.

132. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი „ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე.
კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ.

133. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

ქ. ბ. / საქ. სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

134. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა ბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს შექმნისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

135. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების თაობაზე.

136. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი წევრის დანიშვნისა და თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე.

137. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებათა შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

138. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ თ. შ. ქაბულოვას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

139. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ ბ. ბ. ტეხოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ.

140. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ ჰ. ი. მარდანოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

141. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ თ. შ. ქაბულოვას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ .

142. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ ე. კ. შარტავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

143. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ ი. ნ. ორჯონიკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ.

144. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ დ. ნ. დვალიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

145. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ ა. ჩილინდრიშვილის მიერ შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხზე.

146. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო მოხმარების საქონლისა და ვაჭრობის კომისიის წევრ-დეპუტატების შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხზე.

147. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატების ე. რომანოვას და ს. ჩოხელის შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

130 სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების და საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ზეიმზე გამოსვლებში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ჩამოყალიბებული დებულებების, დასკვნებისა და მითითებების შესასრულებლად საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოს ამოცანების შესახებ

სკკპ XXVI ყრილობა, რომელმაც შეიმუშავა საბჭოეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ვრცელი პროგრამა მეთერთმეტე ხუთწლედისა და 1990 წლამდე პერიოდისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტურ მშენებლობის გზაზე ახალ ისტორიულ ნიშანსვეტად იქცა. ყრილობამ დამაჯერებლად უჩვენა მთელ მსოფლიოს, რომ საბჭოთა ადამიანები მიჰყვებიან თავიანთ ნაცად პოლიტიკურ ბელადს — საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და რწმენით შეჰყურებენ ხვალინდელ დღეს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, რომლითაც ყრილობაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის შემდგომი განვითარების საკითხებს.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, რომელმაც მოისმინა და განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. პ. გ. გილაშვილის მოხსენება „სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების და საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ზეიმზე გამოსვლებში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ჩამოყალიბებული დებულებების, დასკვნებისა და მითითებების შესასრულებლად საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების შესახებ“, აღნიშნავს, რომ საბჭოთა საქართველოს მშრომელები მთლიანად და სავსებით იწონებენ სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში მოცემულ მითითებებსა და დებულებებს. რესპუბლიკის მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია, ერთსულოვნად უჭერენ მხარს სკკპ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს ნაყოფიერ საქმიანობას გამოჩენილი ლენინელის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის დაუცხრომელი მებრძოლის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდიდესი შადლიერების გრძნობით, კომუნისტური მშენებლობის განსახორციელებლად მოქმედების საბრძოლო პროგრამად აღიქვეს რესპუბლიკის მშრომელებმა საბჭოთა საქართველოსა და მისი კომპარტიის შექმნის 60 წლისთავთან დაკავშირებულ საზეიმო სხდომაზე, აგრეთვე რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გამოთქმული რჩევა-დარიგებანი, რეკომენდაციები და კრიტიკული შენიშვნები.

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების სესიებმა, განიხილეს რა სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე საბჭოების ამოცანები, შეიმუშავეს ქვეყნისა და რესპუბლიკის პარტიული ფორუმების გადაწყვეტილებათა განხორციელების კონკრეტული ღონისძიებანი. „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების“ შესაბამისად დასახულია ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების ახალი ამოცანები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით სერიოზული ღონისძიებები ხორციელდება სახელმწიფო, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლისა და პასუხისმგებლობის ასამაღლებლად, მათი საკოორდინაციო და საკონტროლო საქმიანობის სრულყოფისათვის, რომელიც გამიზნულია შესაბამის ტერიტორიაზე კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველსაყოფად. პარტიის XXVI ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განუხრელად შესრულებისათვის.

მთელ მუშაობას სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობის გასააქტიურებლად საფუძვლად უდევს საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მოთხოვნები საბჭოთა ორგანოების მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის, მათი ავტორიტეტისა და პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ.

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივმა საბჭოებმა, პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით, გამოიყენეს რა სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საქართველოს სსრ კონსტიტუციით, საბჭოების შესახებ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება, გაუთჯობესეს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა მშრომელთა მობილიზაციისათვის ეკონომიკის განვითარების, მატერიალური, შრომითი და საფინანსო რესურსების ეფექტიანად გამოყენების. სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისა და მისი ასორტიმენტის გაფართოების, სავაჭრო, სატრანსპორტო და საყოფაცხოვრებო საწარმოების, სახალხო განათლების, კულტურის, სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესების ამოცანათა გადასაწყვეტად.

საბჭოები წარმატებით იყენებენ თელავის რაიონის სახალხო დეპუტატთა წინანდლის სასოფლო საბჭოს გამოცდილებას შრომითი რესურსების გამოყენე-

ბის ეფექტიანობის ამაღლების საქმეში, გავაზის (ყვარლის რაიონი), ხანდოს (სიღნაღის რაიონი), პატარძეულის (საგარეჯოს რაიონი), ახალსოფლის (ცხაკაიას რაიონი), სუჯუნის (აბაშის რაიონი) და სხვა სასოფლო საბჭოების გამოცდილებას თავიანთი რეგიონების ეკონომიკური განვითარების ტემპის დაჩქარების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის და ადგილობრივი ნედლეულისა და მასალებისაგან ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდების რეზერვების გამოსავლენად და გამოსაყენებლად.

გაიქტიურდა ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფების, დეპუტატთა საგუშაგოების საქმიანობა. გაუმჯობესდა კონტროლი საგეგმო დავალებათა შესრულებისადმი, კანონების დაცვისადმი, პარტიისა და მთავრობის დირექტივების, საკუთარი გადაწყვეტილებების შესრულების ორგანიზაციისადმი, მართლწესრიგისა და დისციპლინის განმტკიცებისადმი.

სრულყოფილი ხდება ორგანიზატორული მუშაობის ფორმები და მეთოდები სახალხო დეპუტატთა თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, ფოთის, რუსთავის საქალაქო, ქ. თბილისის ოქტომბრისა და ორჯონიკიძის, ცხაკაიას, ზუგდიდის, წითელწყაროს, ახმეტის, მახარაძის რაიონულ საბჭოებში. მთელი რიგი სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობაში შემდგომი განვითარება პოვა დემოკრატიზმის პრინციპებმა და საჯაროობამ. დაგროვილია გარკვეული დადებითი გამოცდილება საბჭოების სესიების მომზადებისა და ჩატარების საქმეში; განმტკიცდა საბჭოების კავშირი მასებთან. მნიშვნელოვნად ამაღლდა დეპუტატთა აქტიურობა სესიებზე, საარჩევნო ოლქებსა და შრომითი კოლექტივებში, უკეთ სრულდება ამომრჩეველთა განაწესები, დეპუტატები საარჩევნო ოლქებში უფრო რეგულარულად ანგარიშს.

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოები, რომლებიც ხელმძღვანელობენ „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, იყენებენ საცხოვრებელ ადგილას მოსახლეობასთან მუშაობის ყველა ფორმას, თავიანთი საქმიანობით სულ უფრო აქტიურად უწყობენ ხელს სოციალისტური ცხოვრების წესის დამკვიდრებას, მასების პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ამაღლებას, მათ მობილიზაციას საგეგმო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესასრულებლად. ახალი შინაარსით გამდიდრდა ქ. ქ. თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმისა და გორის მიკრორაიონთა საბჭოების მუშაობა.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობაში კვლავ სერიოზული ნაკლოვანებებია. საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისადმი ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში განსაკუთრებით ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ ბევრი საბჭოს მუშაობის დონე ჩამორჩება ცხოვრების მოთხოვნებს, ისინი სუსტად ახორციელებენ მათთვის კანონით მინიჭებულ უფლებებსა და საკონტროლო ფუნქციებს, მთლიანად არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს. ჯერ კიდევ არასაკმარისია საბჭოების როლი კომპლექსური ტერიტორიული, ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფაში, გამოუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყენებელი რეზერვების ძიებაში, მათს ტერიტორიაზე განლაგებული ყველ საწარმოსა და ორგანიზაციის მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებაში.

საბჭოთა ორგანოების საქმიანობაში კვლავ მრავლადაა ადამიანთა საჭიროებისადმი უსულგულო დამოკიდებულების, საქმისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიული მიდგომის ფაქტები. საკმაოდ ზუსტად არ არის აწყობილი მუშაობა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ადგილობრივი რესურსების გამოსაყენებლად, ვაჭრობისა და მოსახლეობის მომსახურების მთელი სფეროს განსავითარებლად. შეინიშნება საბინაო კანონმდებლობის დარღვევები; სათანადო კონტროლი არ არის რესპუბლიკის მიწის კოდექსის, ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ტყის რესურსების დაცვის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულებისადმი. არადამაკმაყოფილებელია ბევრი საბჭოს მუშაობა სოციალისტური კანონიერების, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე სახელმწიფო დისციპლინის განსამტკიცებლად. ზოგიერთი საბჭო ჯერ კიდევ სუსტად ებრძვის უყაირათობას, სოციალისტური საკუთრების დატაცებას, ლოთობას, მუქთახორობას, მექრთამეობას, სხვა ანტისაზოგადოებრივ გამოვლენებს, დეპუტატებთან და მოსახლეობას შორის მუშაობაში შეინიშნება ფორმალიზმი და საქმის გაუბრალოება, ხოლო ზოგჯერ — დემოკრატიზმის პრინციპებისა და საჯაროობის უგულებელყოფა. ნაკლოვანებებია მოქალაქეთა წერილებზე, განცხადებებსა და ზეპირ მიმართვებზე მუშაობაში.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ყველა რგოლის საბჭოებმა, მათმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა:

— მიიჩნიონ უმთავრეს ამოცანად სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა, სკკპ XXVI ყრილობისადმი ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ჩამოყალიბებულ დებულებათა და მითითებათა, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 60 წლისთავთან დაკავშირებულ საიუბილეო ზეიმზე, რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან საუბარში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გამოთქმული მითითებების, კრიტიკული შენიშვნებისა და რჩევა-დარიგებების, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების განუხრელად შესრულება;

— დაუქვემდებარონ მთელი ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა სკკპ XXVI ყრილობის მიერ განსაზღვრული მეთერთმეტე ხუთწლედის მთავარი ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას, სახალხო მეურნეობის მტკიცე, წინსწლითი განვითარების საფუძველზე საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი ზრდის, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და განვითარების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტენსიურ გზაზე ეკონომიკის გადაყვანის, რესპუბლიკის საწარმოო პოტენციალის უფრო რაციონალურად გამოყენების, მატერიალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ყოველმხრივი მომჭირნეობისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფას;

— უფრო სრულად გამოიყენონ სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საქართველოს სსრ კონსტიტუციით, საბჭოების შესახებ კანონმდებლობით „სამეურნეო მექანიზმის შემდგომი სრულყოფისა და პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ამოცანათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, „სამეურნეო მშენებლობაში სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი ამაღლების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით მინიჭებული უფლებამოსილება შესაბამის ტერიტორიებზე კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების, წარმოების ეფექტიანობის ზრდის, საბჭოთა ადამიანების ყოფა-ცხოვრების ყველა მხარის გაუმჯობესების, მათი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების, მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცების უზრუნველსაყოფად;

— წარმართონ თავიანთი საქმიანობა მასების შრომითი აქტიურობის შემდგომ ასამაღლებლად, რესპუბლიკის შრომითი კოლექტივების მიერ ყველა საგეგმო დავალების, სოციალისტურ ვალდებულებათა განუხრელად შესასრულებლად, წარმოების ზრდის ტემპის გასადიდებლად და შრომის ნაყოფიერებისა და გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად, არსებული რესურსების ეფექტიანად გამოსაყენებლად; ხელი შეუწყონ სოციალისტური შეჯიბრების გაშლას, განაზოგადონ და გაავრცელონ სასარგებლო სახალხო ინიციატივა, დეპუტატთა თაოსნობა;

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საფუძველზე სასურსათო პროგრამის განხორციელებას; სოფლის მშრომელთა მთელი ძალები წარმართონ კულტურების მოსავლიანობის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ასამაღლებლად, სასოფლო-საძეურნეო პროდუქციის დანაკარგებთან საბრძოლველად; ხელი შეუწყონ საზოგადოებრივ მეურნეობათა პირად დამხმარე მეურნეობებთან კოოპერირებაა, ძალი დაუჭირონ საძრწველო საწარმოებია დამხმარე მეურნეობათა, კოლექტიური ბაღაღეობისა და ბაღოსტნეობის განვითარებას;

— მაქსიმალურად გამოიყენონ ადგილობრივი შესაძლებლობანი და რესურსები სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გასადიდებლად და მისი ხარისხის გასაუმჯობესებლად, საცხოვრებელი ბინებისა და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობის გეგმების შესასრულებლად, ფართოდ შემოიღონ პრაქტიკაში საწარმოების, მეურნეობებისა და ორგანიზაციების საშუალებათა კოოპერირება;

— მიაღწიონ სოციალურ-კულტურული საჭიროებისათვის გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა და საშუალებათა ათვისებას, საცხოვრებელი სახლების,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლების, ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების, საავადმყოფოების, ამბულატორიებ-ლიხიკების, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების საექსპლუატაციოდ დროულად გადაცემას, ტრანსპორტის, სავაჭრო, საზოგადოებრივი კვების საწარმოების მუშაობის გაუმჯობესებას, ქალაქად და სოფლად მოსახლეობის მომსახურების ახალი ფორმების დანერგვას და მისი კულტურის დონის ამაღლებას;

— უზრუნველყონ ქალაქების, დაბებისა და სოფლების კომპლექსური განაშენიანება და კეთილმოწყობა, იზრუნონ მათი არქიტექტურული იერის გაუმჯობესებისათვის, გარემოს დაცვისათვის, მკაცრად გააკონტროლონ ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის მიერ ბუნების დამცველი კანონმდებლობის შესრულება;

— დღენიადაგ იზრუნონ დიდი სამამულო ომის ინვალიდების, მონაწილეებისა და დაღუპულ მებრძოლთა ოჯახებისათვის; მიიღონ ზომები ქალთა შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების ორგანიზაციის, დედისა და ბავშვის დაცვის გასაუმჯობესებლად;

— სრულყონ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების საქმიანობა, გაამახვილონ მათი ყურადღება სამედიცინო მომსახურებისა და დაავადებათა პროფილაქტიკის ხარისხის გაუმჯობესებაზე; სრულყონ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მუშაობა; აამაღლონ სახალხო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების ორგანოების მუშაობის დონე მოსწავლე-ახალგაზრდობის შრომითი, ზნეობრივი, ესთეტიკური აღზრდის, მათი პროფორიენტაციისა და სახალხო მეურნეობისათვის მუშაობა კვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში;

— გააუმჯობესონ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობა, განსაკუთრებით სოფლად, უფრო სრულად გამოიყენონ მათი შესაძლებლობანი მოსახლეობას შორის აღმზრდელობითი მუშაობის ჩასატარებლად, ახალგაზრდობის კულტურული დასვენების ორგანიზაციისათვის, სოციალისტური ცხოვრების წესის დასამკვიდრებლად, ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთებთან, მავნე ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებთან საბრძოლველად;

— გააქტიურონ მუშაობა სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განსამტკიცებლად, გააძლიერონ ბრძოლა სამართალდარღვევათა, სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ, სრულყონ არასრულწლოვანთა დანაშაულისა და საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულთა აცილებისა და პროფილაქტიკის ფორმები და მეთოდები; უფრო ეფექტიანად წარმართონ სამართალდამცველი ორგანოების მუშაობა, აამაღლონ მათი პასუხისმგებლობა მართლწესრიგის დაცვის მდგომარეობისათვის; უფრო აქტიურად ჩაებან დეპუტატები, წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტები, ამხანაგური სასამართლოები, სახალხო რაზმეულები, საზოგადოებრიობა სამართალდარღვევებსა და სხვა ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლაში;

— აღმოფხვრან ნაკლოვანებები, ბიუროკრატიზმის, ფორმალიზმისა და საქმის გაჭიანურების გამოვლენები მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვისა და მოქალაქეთა პირადი მიღების საქმეში, სისტემატურად შეატყობინონ მშრომელებს მათი სიგნალებისა და წინადადებების გამო მი-

ღებული ზომების შესახებ; თანამიმდევრულად და განუხრელად განახორციელონ „სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მოქალაქეთა წერილებსა და წინადადებებზე მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნები;

— მუდმივად სრულყონ ორგანიზატორული მუშაობის სტილი და მეთოდები, განუხრელად დაიცვან სოციალისტური დემოკრატიზმისა და საჯაროობის პრინციპები, ხელი შეუწყონ ყველა დონის საბჭოების მუშაობაში პარტიულობის, კონკრეტულობისა და გერგილიანობის დამკვიდრებას, აამაღლონ სესიების ჩატარების დონე, ხელი შეუწყონ მათზე აქტუალური საკითხების საქმიან განხილვას, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლას, ოპერატიულად გამოეხმაურონ დეპუტატთა წინადადებებსა და კრიტიკულ შენიშვნებს; აამაღლონ მუდმივი კომისიების როლი საბჭოების წინაშე დასახულ ამოცანათა გადაჭრაში, გააძლიერონ კონტროლი ზემდგომი პარტიული და სახელმწიფო ორგანოების დადგენილებების და საკუთარი გადაწყვეტილებების შესრულების, ამომრჩეველთა განაწესების განხორციელებისადმი;

— ყოველნაირად შეუწყონ ხელი დეპუტატთა საქმიანობის გააქტიურებას საბჭოების სესიებზე, მუდმივ კომისიებში, საარჩევნო ოლქებში, დეპუტატთა კავშირის გაფართოებასა და განმტკიცებას მოსახლეობასთან, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებთან; მუდმივი ყურადღება დაუთმონ და ქმედითი დახმარება გაუწიონ დეპუტატთა სკოლების, საბჭოთა მუშაობის კაბინეტების, დეპუტატთა ოთახების მუშაობას, „დეპუტატის ერთიანი დღის“ ჩატარებას; მიაღწიონ იმას, რომ თითოეული ხალხის რჩეული იყოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის აქტიური გამტარებელი, თავისი საქმიანობით ხელს უწყობდეს საბჭოური ცხოვრების წესის ნორმების დამკვიდრებას, მასების შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის განვითარებას პარტიის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში;

— მუდმივად გააუმჯობესონ საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ხელმძღვანელი კადრების ხარისხობრივი შემადგენლობა, სრულყონ საბჭოთა მუშაკების სწავლების, მათი იურიდიული ცოდნის ამაღლების სისტემა; აღზარდონ ისინი სიტყვისა და საქმის ერთიანობის, პრინციპულობის, გულახდილობის, მინდობილი საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობის, ადამიანთა საზრუნავისა და საჭიროებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულების სულისკვეთებით.

2. საქართველოს სსრ სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა გააუმჯობესონ დაქვემდებარებული დარგებისადმი, საწარმოებისადმი, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა, წარმართონ რა მათი საქმიანობა XI ხუთწლედის დავალებათა უთუოდ შესასრულებლად, ეკონომიკურ განვითარებაში რესპუბლიკის საშუალო-საკავშირო დონისგან ჩამორჩენის დასაძლევად, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მაღალი საბოლოო შედეგების მისაღწევად უმცირესი მატერიალური და საფინანსო დანახარჯებით: მუდმივად მისცენ ვეზი შრომითს კოლექტივებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მომშრომელობისა და ყაირათიანობის რეჟიმის მკაცრად დასაცავად; ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ადგილობრივ საბჭოებს

დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფაში.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ უფრო აქტიურად უხელმძღვანელოს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების საქმიანობას, უზრუნველყოს საჭირო ურთიერთქმედება მათსა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საქვეუწყებო ორგანოებს შორის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების, უმნიშვნელოვანესი კომპლექსური საერთო რესპუბლიკური, დარგთაშორისი და რეგიონალური პროგრამების შესასრულებლად; განახორციელოს უფრო ქმედითი კონტროლი ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მუშაობისადმი, განმტკიცოს საბჭოების მატერიალური ბაზა; გააძლიეროს რესპუბლიკის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების პასუხისმგებლობა მათი კომპეტენციის საკითხების ოპერატიული გადაწყვეტისათვის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, შრომითი, მატერიალური და საფინანსო რესურსების გამოყენების გაუმჯობესების, სახელმწიფო და საგეგმო დისციპლინის დაკვისათვის; მიაღწიოს მართვის შემდგომ სრულყოფას, სიზუსტეს, შეთანხმებულობასა და მაღალ კულტურას სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის მუშაობაში.

4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივმა კომისიებმა ხელი შეუწყონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ეფექტიან საქმიანობას, გააძლიერონ კონტროლი სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის დებულებათა, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, XI ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებებისა და სხვა რესპუბლიკური ორგანიზაციების, აგრეთვე ადგილობრივი საბჭოების ორგანოების მუშაობისადმი; უფრო აქტიურად შეუწყონ ხელი მათ კანონების განხორციელებაში.

5. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოიყენოს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ რესპუბლიკის მიღწევებისათვის მიცემული მაღალი შეფასების, მისი კრიტიკული შენიშვნების, მითითებებისა და რჩევა-დარიგებების მამობილიზებული ზემოქმედება და მუდმივად სრულყოს რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების საქმიანობისადმი ხელმძღვანელობა, აამაღლოს მათი როლი, ინიციატივა და პასუხისმგებლობა სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში, შეისწავლოს, ფართოდ გაავრცელოს საბჭოების მუდმივი კომისიების, დეპუტატების, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობის დადებითი გამოცდილება; განახორციელოს უფრო მკაცრი კონტროლი მოქმედი კანონმდებლობის დაცვისადმი.

6. საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებმა ფართოდ გააშუქონ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მრავალმხრივი საქმიანობა, სოციალისტური დემოკრატიის ქმედითობა, მშრომელთა სულ უფრო ფართო მონაწილეობა სახელმწიფო და საზოგადოების საქმეთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართვაში; აქტიური პროპაგანდა გაუწიონ ხალხის რჩეულთა მუშაობას, ყოველ-მხრივ გააუქონ საბჭოთა მუშაობის დადებითი გამოცდილება, ხელი შეუწყონ მის გავრცელებასა და დანერგვას.

* *
*

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო რწმენას გამოთქვამს, რომ სახალხო დეპუტატთა საბჭოები, თითოეული დეპუტატი, რესპუბლიკის საბჭოთა აქტივი და მშრომელები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მთელ თავიანთ ძალ-ღონეს, ცოდნასა და ენერგიას მოახმარენ სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1981 წლის 19 ივნისი.

დადგენილება
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

131 „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე

„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ საქართველოს სსრ კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ 1981 წლის 1 ოქტომბრიდან.

2. დაწესდეს, რომ „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონი შეეფარდება ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა კანონის სამოქმედოდ შემოღების შემდეგ, ანუ 1981 წლის 1 ოქტომბრიდან.

„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღებამდე წარმოშობილ მართლურთიერთობაში მის მონაწილეთა უფლებებისა და მოვალეობების განხორციელება 1981 წლის 1 ოქტომბრიდან მოწესრიგდება აღნიშნული კანონის შესაბამისად.

3. „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 45-ე მუხლში აღნიშნული შავნე ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე, რომლისთვისაც არ არის დაწესებული შესაბამისი ნორმატივები, შეიძლება დროებით დაშვებულ იქნეს კანონის სამოქმედოდ შემოღების შემდეგაც, ვიდრე დადგენი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი წესით მიღებული იქნება ნებართვა ამ ზემოქმედებაზე, თუ მას არ აკრძალავენ სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები.

4. დაწესდეს, რომ ატმოსფეროში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა გაფრქვევის პირობების გამო მიღებული დასკვნები, რომლებიც გაცემულია „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღებამდე, ძალაშია ამ დასკვნების გაცემისას დათქმული ვადის გასვლამდე, თუ დადგენილი წესით არ არის განსაზღვრული კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული ნებართვების მიღების უფრო ადრეული ვადა, ან თუ არ წარმოიშვა გაფრქვევის შეზღუდვის, შეჩერების ან აკრძალვის საფუძვლები.

5. „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1980 წლის 25 ივნისის დადგენილების მე-5 პუნქტის შესაბამისად საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია ატმოსფეროში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა გაფრქვევასთან და რომლებიც „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ შემოღების დროისათვის, ანუ 1981 წლის 1 იანვრისათვის არ არიან აღჭურვილი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 33-ე მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნული ნაგებობებით, მოწყობილობითა და აპარატურით, აგრეთვე გაფრქვეულ გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა რაოდენობისა და შედგენილობისადმი კონტროლის საშუალებებით, ამ ნაგებობებით, მოწყობილობით, აპარატურითა და კონტროლის საშუალებებით აღიჭურვებიან ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

6. „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილების მე-6 პუნქტის შესაბამისად იმ რაიონებში, სადაც „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ შემოღების დროისათვის ატმოსფეროში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა შემცველობა აღემატება ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის ნორმატივებს, გაჭუჭყიანების სტაციონარული წყაროების მქონე საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა უნდა შეიმუშაონ და შეუთანხმონ ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის სპეციალურად უფლებამოსილ ორგანოებს გაფრქვევის შემცირების გეგმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ატმოსფერულ ჰაერში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის ნორმატივების დაცვას. აღნიშნული გეგმების რეალიზაციის პერიოდისათვის სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებს უფლება აქვთ დაადგინონ გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა გაფრქვევის დროებით შეთანხმებული სიდიდე.

7. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს შეუსაბამოს რესპუბლიკის კანონმდებლობა საქართველოს სსრ კანონს „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შეუსაბამოს საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებანი საქართველოს სსრ კანონს „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჯ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი

თბილისი, 1981 წლის 19 ივნისი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ

ატმოსფერული ჰაერი გარემო ბუნების ერთ-ერთი ძირითადი საარსებო მნიშვნელობის ელემენტია.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, რომელიც საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარეს ეხება, წარმოების განვითარების სწრაფი ტემპი, ქალაქების ზრდა, ატმოსფეროს გამოყენების გაფართოება და გარემო ბუნებაზე ადამიანის ზემოქმედების მზარდი მასშტაბი მოითხოვს გაძლიერდეს ყურადღება ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი.

საბჭოთა სახელმწიფო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ატმოსფერული ჰაერის სასიკეთო მდგომარეობის შენარჩუნებას, მის აღდგენასა და გაუმჯობესებას საბჭოთა ადამიანების ცხოვრების უკეთესი პირობების—შრომის, ყოფა-ცხოვრების, დასვენებისა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად, მატერიალური წარმოებისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის.

სსრ კავშირის კონსტიტუცია და საქართველოს სსრ კონსტიტუცია ითვალისწინებს, რომ სსრ კავშირში, რომლის შემადგენლობაში სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან ნებაყოფლობითი გაერთიანებისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე შედის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, ახლანდელ და მომავალ თაობათა ინტერესებისათვის ხორციელდება საჭირო ღონისძიებანი ატმოსფერული ჰაერის სისუფთავის შენარჩუნებისათვის. საბჭოთა სახელმწიფო ატარებს მეცნიერულად დასაბუთებულ ტექნიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და სხვა ღონისძიებათა კომპლექსს, რომელთა მიზანია ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების, მასზე სხვა მავნე ზემოქმედების თავიდან აცილება და აღკვეთა, აგრეთვე ახორციელებს საერთაშორისო თანამშრომლობას ამ დარგში.

საბჭოთა კანონმდებლობა მოწოდებულია აქტიურად უწყობდეს ხელს ატმოსფერული ჰაერის დაცვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარი I

ზოგადი დებულებანი

თავი I

ძირითადი დებულებანი

მუხლი 1. ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საბჭოთა კანონმდებლობის ამოცანები

ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საბჭოთა კანონმდებლობის ამოცანებია საზოგადოებრივი ურთიერთობის მოწესრიგება ამ დარგში ატმოსფერული ჰაერის სისუფთავის შენარჩუნებისა და მისი მდგომარეობის გაუმჯობესების, ატმოსფეროზე ქიმიური, ფიზიკური, ბიოლოგიური და სხვა მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისა და შემცირების მიზნით, რომლებიც იწვევენ ქვეყნის მოსახლეობისათვის, სახალხო მეურნეობისათვის, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროსათვის არახელსაყრელ შედეგებს, აგრეთვე კანონიერების განმტკიცება ატმოსფერული ჰაერის დაცვის დარგში.

მუხლი 2. სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ შედგება „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ სსრ კავშირის კანონისა და მის შესაბამისად გამოცემული სსრ კავშირის კანონმდებლობის სხვა აქტებისაგან, ამ კანონისაგან და ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საქართველოს სსრ კანონმდებლობის სხვა აქტებისაგან.

მუხლი 3. სსრ კავშირის კომპეტენცია ატმოსფერული ჰაერის დაცვის ურთიერთობის მოწესრიგების დარგში

„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად ატმოსფერული ჰაერის დაცვის ურთიერთობის მოწესრიგების დარგში სსრ კავშირის გამგებლობას განეკუთვნება:

1) საერთო ღონისძიებათა განსაზღვრა და ძირითად დებულებათა დადგენა ატმოსფერული ჰაერის დაცვის დარგში;

2) ატმოსფერული ჰაერის დაცვის საერთო-საკავშირო გეგმების შემუშავება და დამტკიცება;

3) ატმოსფერულ ჰაერში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციისა და მასზე მავნე ფიზიკური ზემოქმედების დონის ნორმატივების დადგენა;

4) ატმოსფერულ ჰაერში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები განაფრქვევის ნორმატივებისა და მასზე ზღვრულად დასაშვები მავნე

ფიზიკური ზემოქმედების ნორმატივების შემუშავებისა და დამტკიცების წესის დადგენა;

5) სსრ კავშირისათვის ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ზემოქმედების სახელმწიფო აღრიცხვის ერთიანი სისტემის დადგენა;

6) ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლი და მისი განხორციელების წესის დადგენა;

7) ატმოსფერული ჰაერის დაცვის დარგში საერთო-საკავშირო მნიშვნელობის სხვა საკითხთა გადაწყვეტა სსრ კავშირის კონსტიტუციისა და „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად.

მ უ ხ ლ ი 4. საქართველოს სსრ კომპეტენცია ატმოსფერული ჰაერის დაცვის ურთიერთობის მოწესრიგების დარგში

ატმოსფერული ჰაერის დაცვის ურთიერთობის მოწესრიგების დარგში საქართველოს სსრ გამგებლობას სსრ კავშირის კომპეტენციის ფარგლებს გარეთ განეკუთვნება: ატმოსფერული ჰაერის დაცვის წესის დადგენა; ატმოსფერული ჰაერის დაცვის რესპუბლიკური გეგმების შემუშავება და დამტკიცება; ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის განხორციელება, აგრეთვე სხვა საკითხების გადაწყვეტა ატმოსფერული ჰაერის დაცვის დარგში, თუ ისინი სსრ კავშირის კომპეტენციას არ განეკუთვნება.

მ უ ხ ლ ი 5. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კომპეტენცია ატმოსფერული ჰაერის დაცვის ურთიერთობის მოწესრიგების დარგში

ატმოსფერული ჰაერის დაცვის ურთიერთობის მოწესრიგების დარგში აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ გამგებლობას სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კომპეტენციის ფარგლებს გარეთ განეკუთვნება: ატმოსფერული ჰაერის დაცვის რესპუბლიკური (ასსრ) გეგმების შემუშავება-დამტკიცება და ღონისძიებათა განხორციელება; ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის განხორციელება, აგრეთვე ატმოსფერული ჰაერის დაცვის დარგში სხვა საკითხების მოწესრიგება, თუ ისინი სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კომპეტენციას არ განეკუთვნება.

თავი II

სახელმწიფო მართვა ატმოსფერული ჰაერის დაცვის დარგში

მ უ ხ ლ ი 6. სახელმწიფო მართვა ატმოსფერული ჰაერის დაცვის დარგში

„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად სახელმწიფო მართვას ატმოსფერული ჰაერის დაცვის დარგში საქართველოს სს რესპუბლიკაში ახორციელებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიტეტები, აგრეთვე სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

მ უ ხ ლ ი 7. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების კომპეტენცია სახელმწიფო მართვის ხაზით ატმოსფერული ჰაერის დაცვის დარგში

სახელმწიფო მართვის ხაზით ატმოსფერული ჰაერის დაცვის დარგში სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გამგებლობას განეკუთვნება: მონაწილეობა ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებათა დაგეგმვაში; ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებათა ჩატარების უზრუნველყოფა, აგრეთვე მათი კომპეტენციის ფარგლებში ატმოსფერული ჰაერის დაცვის დარგში სხვა საკითხების გადაწყვეტა.

თავი III

ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებათა დაგეგმვა

მ უ ხ ლ ი 8. ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებათა დაგეგმვა

ატმოსფერული ჰაერის დაცვის დავალებები და მისი გაჭუჭყიანების და მასზე სხვა მავნე ზემოქმედების მიზეზების თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის, აგრეთვე ატმოსფეროს მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებანი გაითვალისწინება ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებში.

მ უ ხ ლ ი 9. ატმოსფერული ჰაერის დაცვის გეგმების პროექტების შეთანხმება

ატმოსფერული ჰაერის დაცვის გეგმების პროექტები, რომლებსაც სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები შემუშავებენ, შეთანხმებული უნდა იქნეს ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოებთან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი IV

საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეების მონაწილეობა ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში

მ უ ხ ლ ი 10. საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა მიერ ხელის შეწყობა ატმოსფერული ჰაერის დაცვაში

პროფესიული კავშირები, ახალგაზრდობის ორგანიზაციები, ბუნების დაცვის საზოგადოებები, სამეცნიერო საზოგადოებები და სხვა საზოგადოებრივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანიზაციები, აგრეთვე მოქალაქეები ხელს უწყობენ სახელმწიფო ორგანოებს ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში.

სახელმწიფო ორგანოები მოვალენი არიან ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებათა განხორციელებისას ყოველმხრივ გაითვალისწინონ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოქალაქეთა წინადადებანი.

მ უ ხ ლ ი 11. ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებებში საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მონაწილეობის წესი

საზოგადოებრივი ორგანიზაციები მონაწილეობენ ატმოსფერული ჰაერის დაცვის უზრუნველსაყოფ საქმიანობაში მათი წესდებების (დებულებების) და სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის წესი და ფორმები

სახელმწიფო ორგანოებს ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში მოქალაქეები ხელს უწყობენ აუცილებელ სამუშაოებში უშუალო მონაწილეობით, ატმოსფერული ჰაერის დაცვის გაუმჯობესების შესახებ წინადადებათა შეტანით, ატმოსფერული ჰაერის დაცვის კანონმდებლობის მათთვის ცნობილი დარღვევების შეტყობინებით.

16910

კარი II

ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებანი

თავი V

ატმოსფეროზე ზემოქმედების ზღვრულად დასაშვები ნორმატივები

მ უ ხ ლ ი 13. ატმოსფერულ ჰაერში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციისა და მასზე მავნე ფიზიკური ზემოქმედების დონის ნორმატივები

ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობის შეფასებისათვის წესდება გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციისა და ატმოსფეროზე მავნე ფიზიკური ზემოქმედების დონის ნორმატივები. ეს ნორმატივები უნდა უპასუხებდეს ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვისა და გარემო ბუნების დაცვის ინტერესებს.

ატმოსფერულ ჰაერში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციისა და მასზე მავნე ფიზიკური ზემოქმედების დონის ნორმატივები ერთიანია სსრ კავშირის მთელი ტერიტორიისათვის. საჭირო შემთხვევებში ცალკეული რაიონებისათვის წესდება ატმოსფერულ ჰაერში გამაჭუჭ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყიანებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის უფრო მეტ ნორმატივები.

„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად აღნიშნული ნორმატივები და მათი განსაზღვრის მეთოდები მტკიცდება და სამოქმედოდ შემოიღება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მ უ ხ ლ ი 14. ატმოსფერულ ჰაერში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები განაფრქვევისა და მასზე მავნე ფიზიკური ზემოქმედების ნორმატივები

ატმოსფერული ჰაერის დაცვის მიზნით წესდება გაჭუჭყიანების სტაციონარულ და მოძრავი წყაროების მიერ გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები განაფრქვევის ნორმატივები, აგრეთვე მავნე ფიზიკური ზემოქმედების ზღვრულად დასაშვები ნორმატივები. ეს ნორმატივები წესდება განაფრქვევისა თუ ატმოსფერულ ჰაერზე სხვა მავნე ზემოქმედების ყოველი სტაციონარული წყაროსათვის, აგრეთვე სატრანსპორტო და სხვა მოძრავი საშუალებებისა და დანადგარების ყოველი მოდელისათვის.

ატმოსფეროში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები განაფრქვევისა და მასზე მავნე ფიზიკური ზემოქმედების ზღვრულად დასაშვები ნორმატივები წესდება იმ დონეზე, როცა კონკრეტული და ყველა სხვა წყაროს მიერ გამაჭაჭყიანებელ ნივთიერებათა განაფრქვევს და მავნე ფიზიკურ ზემოქმედებას მოცემულ რაიონში მისი განვითარების პერსპექტივის გათვალისწინებით არ მოაკვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელმწიფო ორგანო. ნებართვაში გაითვალისწინებენ გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები განაფრქვევის ნორმატივებს, აგრეთვე ატმოსფერული ჰაერის დაცვის უზრუნველსაყოფ სხვა პირობებსა და მოთხოვნებს.

მ უ ხ ლ ი 16. სტაციონარული წყაროების მიერ ატმოსფერულ ჰაერში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა გაფრქვევის ნებართვის გაცემის წესი

„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად გაჭუჭყიანების სტაციონარული წყაროების მიერ ატმოსფეროში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა გაფრქვევის ნებართვის გაცემის წესს ადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

მ უ ხ ლ ი 17. საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მოვალეობანი ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების თავიდან ასაცილებლად

საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია ატმოსფეროში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა გაფრქვევასთან, ვალდებული არიან განახორციელონ ორგანიზაციულ-სამეურნეო, ტექნიკური და სხვა ღონისძიებანი გაფრქვევის ნებართვით გათვალისწინებული პირობებისა და მოთხოვნების შესრულების უზრუნველსაყოფად, მიიღონ ზომები გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა გაფრქვევის შესამცირებლად, უზრუნველყონ განაფრქვევის საწმენდი და მისი საკონტროლო ნაგებობათა, მოწყობილობისა და აპარატურის შეუფერხებელი ეფექტიანი მუშაობა და წესიერ მდგომარეობაში შენახვა, აგრეთვე განახორციელონ ატმოსფეროში გაფრქვეულ გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა რაოდენობისა და შედგენილობის სისტემატური აღრიცხვა.

ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებათა განხორციელება არ უნდა იწვევდეს ნიადაგის, წყლისა და სხვა ბუნებრივი ობიექტების გაჭუჭყიანებას.

მ უ ხ ლ ი 18. ატმოსფერული ჰაერის გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა გაფრქვევის შეზღუდვა ან აკრძალვა

ნებართვებით გათვალისწინებული პირობებისა და მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, აგრეთვე მაშინ, როცა საფრთხე ექმნება მოსახლეობის ჯანმრთელობას, გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ატმოსფეროში გაფრქვევა უნდა შეიზღუდოს, შეჩერდეს ან აიკრძალოს ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს გადაწყვეტილებით, თვით ცალკეული სამრეწველო დანადგარების, საამქროების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობის შეწყვეტამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ უ ხ ლ ი 19. ავარიული სიტუაციის დროს ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებანი

ავარიული სიტუაციის შედეგად ატმოსფეროში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები განაფრქვევის დადგენილი ნორმატივების გადამეტების შემთხვევაში საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები მოვალენი არიან დაუყოვნებლივ აცნობონ ეს ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოებს და მიიღონ დადგენილი წესით ზომები ატმოსფერული ჰაერის დაცვისა და მისი გაჭუჭყიანების მიზეზებისა და შედეგების სალიკვიდაციოდ.

მ უ ხ ლ ი 20. არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში ატმოსფერული ჰაერის დაცვა

საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც მიიღებენ გაფრთხილებას მოსალოდნელ არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებთან დაკავშირებით ატმოსფერულ ჰაერში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა კონცენტრაციის შესაძლო გადიდების შესახებ, მოვალენი არიან ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოებთან შეთანხმებით შეასრულონ სპეციალურად შემუშავებული ღონისძიებანი ატმოსფეროში ასეთ ნივთიერებათა განაფრქვევის შესამცირებლად.

ატმოსფეროში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა გაფრქვევის შესამცირებლად მიღებული ზომების შესახებ საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები დაუყოვნებლივ აცნობებენ ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლი განმახორციელებელ სპეციალურად უფლებამოსილ ორგანოებს.

თავი VII

მოძრავი საშუალებებისა და დანადგარების მიერ ატმოსფეროში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა გაფრქვევის მოწესრიგება

მ უ ხ ლ ი 21. სატრანსპორტო და სხვა მოძრავი საშუალებებისა და დანადგარების მიერ ატმოსფეროში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა გაფრქვევის თავიდან აცილება და შემცირება

სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ ავტომობილების, თვითმფრინავების, გემების, სხვა მოძრავი საშუალებებისა და დანადგარების დაპროექტებას, წარმოებასა და ექსპლოატაციას, მოვალენი არიან შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებათა კომპლექსი ამ საშუალებებისა და დანადგარების მიერ ატმოსფეროში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა გაფრქვევის თავიდან აცილებისა და შემცირებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატრანსპორტო და სხვა მოძრავი საშუალებებისა და დანადგარებისა, შეტანილ განაფრქვევ გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ზღვრულად დასაშვები განაფრქვევის დაწესებულ ნორმატივებს.

მ უ ხ ლ ი 22. მოძრავი საშუალებებისა და დანადგარების მიერ გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები განაფრქვევის ნორმატივების დაცვისადმი კონტროლი

ექსპლოატაციაში არსებული ყველა სატრანსპორტო და სხვა მოძრავი საშუალება და დანადგარი ექვემდებარება კონტროლს გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები განაფრქვევის ნორმატივების დაცვისადმი. „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად აღნიშნული ნორმატივების დაცვისადმი კონტროლის წესებს ადგენენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

მ უ ხ ლ ი 23. მოძრავი საშუალებებისა და დანადგარების — გაჭუჭყიანების წყაროების წარმოებისა და ექსპლოატაციის პირობები

არ დაიშვება ისეთი სატრანსპორტო და სხვა მოძრავი საშუალებებისა და დანადგარების წარმოება და ექსპლოატაცია, რომელთა განაფრქვევში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა შემცველობა დადგენილ ნორმატივებს აღემატება.

მ უ ხ ლ ი 24. სატრანსპორტო და სხვა მოძრავი საშუალებებისა და დანადგარების ექსპლოატაციის შეზღუდვა

ატმოსფერულ ჰაერში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა კონცენტრაციის შემცირების მიზნით სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად შეუძლიათ შეზღუდონ ტრანსპორტის და სხვა მოძრავ საშუალებათა და დანადგართა შესვლა დასახლებულ პუნქტებში, გარკვეულ ზონებში, დასვენებისა და ტურიზმის ადგილებში.

თავი VIII

ატმოსფეროზე მავნე ფიზიკური ზემოქმედების მოწესრიგება

მ უ ხ ლ ი 25. ატმოსფეროზე მავნე ფიზიკური ზემოქმედების თავიდან აცილება, შემცირება და აღმოფხვრა

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები, სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები, უწყებები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები მოვალენი არიან შეიმუშაონ და განახორციელონ ატმოსფეროზე ბგერითი რხევების, მათ შორის ხმაურის, გამოსხივების და სხვა მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების, შემცირებისა და აღმოფხვრის ღონისძიებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ უ ხ ლ ი 26. ატმოსფეროზე მავნე ფიზიკური ზემოქმედების ცალკეულ სახეობებზე ნებართვა

სსრ კავშირის კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ფიზიკური ზემოქმედების ცალკეული სახეობანი შეიძლება დაშვებულ იქნეს მხოლოდ სპეციალურად სამიზნოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

მ უ ხ ლ ი 27. ატმოსფეროზე მავნე ფიზიკური ზემოქმედების განხორციელების პირობები

ატმოსფერულ ჰაერზე ყოველგვარი მავნე ფიზიკური ზემოქმედება დაიშვება იმ პირობით, თუ დაცულია დადგენილი ზღვრულად დასაშვები ნორმატივები, ხოლო იმ შემთხვევებში, როცა მასზე გაცემულია ნებართვა—ამ ნებართვით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნებიც. აღნიშნული მოთხოვნების დარღვევისას ცალკეული სამრეწველო და სხვა დანადგარების, საამქროების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შესაბამისი საქმიანობა შეიძლება შეჩერდეს, შეიზღუდოს ან აიკრძალოს ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს გადაწყვეტილებით, ვიდრე არ აღმოიფხვრება ის მიზეზები, რომლებმაც გამოიწვია ზღვრულად დასაშვები ნორმატივების გადამეტება ან ნებართვით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევა.

მ უ ხ ლ ი 28. საწარმოო და სხვაგვარ ხმაურთან ბრძოლის ღონისძიებანი

საწარმოო და სხვაგვარ ხმაურთან ბრძოლის მიზნით, კერძოდ, უნდა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებანი: დაინერგოს ნაკლებხმაურიანი ტექნოლოგიური პროცესები; გაუმჯობესდეს სატრანსპორტო საშუალებათა კონსტრუქციები და მათი ექსპლუატაცია, აგრეთვე რკინიგზისა და ტრამვაის ხაზების, საავტომობილო გზების, ქუჩების საფარის მოვლა-პატრონობა; განლაგდეს აეროდრომები და აეროპორტები, სამრეწველო და სხვა ნაგებობანი და მოწყობილობა, რომლებიც ხმაურის წყაროს წარმოადგენენ, სათანადო მანძილზე დასახლებული პუნქტებიდან და საცხოვრებელი განაშენიანების რაიონებიდან; გაუმჯობესდეს ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების დაგეგმარება და განაშენიანება; განხორციელდეს ორგანიზაციული ღონისძიებანი საყოფაცხოვრებო ხმაურის თავიდან აცილებისა და შემცირებისათვის.

მ უ ხ ლ ი 29. საყოფაცხოვრებო ხმაურთან ბრძოლის მოთხოვნათა შესრულება მოქალაქეთა მოვალეობაა

მოქალაქენი მოვალენი არიან შეასრულონ მოთხოვნები, რომლებიც დაწესებულია ბინებში, აგრეთვე საცხოვრებელი სახლების ეზოებში, ქუჩებში, დასვენების ადგილებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში საყოფაცხოვრებო ხმაურის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი IX

იმ საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების განლაგება, დაპროექტება, მშენებლობა და საექსპლოატაციოდ გადაცემა, რომლებიც გავლენას ახდენენ ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობაზე

მუხლი 30. იმ ობიექტების განლაგების, დაპროექტების, მშენებლობის და საექსპლოატაციოდ გადაცემის პირობები, რომლებიც გავლენას ახდენენ ატმოსფერულ ჰაერზე

ახალი და რეკონსტრუირებული საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების განლაგების, დაპროექტების, მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის დროს, არსებულთა სრულყოფისა და ახალი ტექნოლოგიური პროცესებისა და მოწყობილობის დანერგვისას, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ზემოქმედების ნორმატივების დაცვა. ამასთან, გათვალისწინებულ უნდა იქნეს მავნე ნივთიერებებისა და ნარჩენების დაჭერა, უტილიზაცია, გაუვნებლება ან გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა გაფრქვევის სრული გამორიცხვა, ატმოსფერული ჰაერის დაცვის სხვა მოთხოვნების შესრულება იმის მხედველობაში მიღებით, რომ დასაპროექტებელი, მოქმედი და მომავალში ასაშენებლად დაგეგმილი საწარმოების. ნაგებობებისა და სხვა ობიექტების განაფრქვევის, აგრეთვე მავნე ფიზიკური ზემოქმედების ერთობლიობამ არ გამოიწვიოს ატმოსფერულ ჰაერში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის ნორმატივებისა და მასზე მავნე ფიზიკური ზემოქმედების ზღვრულად დასაშვები დონის ნორმატივების გადამეტება.

მუხლი 31. იმ ახალი ობიექტების განლაგებისა და მოქმედთა რეკონსტრუქციის შესახებ წინადადებათა შეტანისა და განხილვის წესი, რომლებიც გავლენას ახდენენ ატმოსფერულ ჰაერზე

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე იმ ახალი საწარმოების, ნაგებობების, ობიექტების განლაგებისა და მოქმედთა რეკონსტრუქციის შესახებ წინადადებათა შეტანა და განხილვა, რომლებიც გავლენას ახდენენ ატმოსფერულ ჰაერზე, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, ხორციელდება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 32. იმ ობიექტების მშენებლობის ადგილების განსაზღვრა და მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროექტების შეთანხმება, რომლებიც გავლენას ახდენენ ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობაზე

იმ საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების მშენებლობის ადგილის განსაზღვრა, რომლებიც გავლენას ახდენენ ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობაზე, და მათი მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროექტები შეთანხმებულ უნდა იქნეს ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახორციელებელ ორგანოებთან და სხვა ორგანოებთან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

მ უ ხ ლ ი 33. იმ ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის აკრძალვა, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ატმოსფერული ჰაერის დაცვის მოთხოვნებს

აკრძალულია ახალი და რეკონსტრუირებული საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა იმ ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემა, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ატმოსფერული ჰაერის დაცვის მოთხოვნებს.

საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ატმოსფეროში გაფრქვევასთან, მათი ამოქმედების დროის მიუხედავად აღჭურვილი უნდა იყოს ატმოსფეროში განაფრქვევის საწმენდი ნაგებობებით, მოწყობილობითა და აპარატურით და გაფრქვეულ გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა რაოდენობისა და შედგენილობის საკონტროლო საშუალებებით.

მ უ ხ ლ ი 34. ატმოსფეროს გამაჭუჭყიანებელი განაფრქვევის გამწმენდი ნაგებობის, მოწყობილობის და აპარატურის დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლუატაციისადმი კონტროლი

სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები მოვალენი არიან განახორციელონ კონტროლი ატმოსფეროში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა განაფრქვევის გამწმენდი და მასზე მავნე ფიზიკური ზემოქმედების შემამცირებელი ნაგებობების, მოწყობილობისა და აპარატურის დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლოატაციისადმი, აგრეთვე ატმოსფერულ ჰაერზე გაწმენდის ეფექტიანობასა, განაფრქვევისა და მავნე ფიზიკური ზემოქმედების სიდიდეზე მუდმივი დაკვირვებისათვის საჭირო ხელსაწყოებით მათი აღჭურვისადმი.

თავი X

ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების განლაგებისა და განვითარების დროს ატმოსფერული ჰაერის დაცვის მოთხოვნები

მ უ ხ ლ ი 35. დასახლებული პუნქტების განლაგებისა და განვითარების დაგეგმვისას ატმოსფერული ჰაერის დაცვის მოთხოვნების შესრულება

ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების განლაგებისა და განვითარების დაგეგმვისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობა, მისი შეცვლის პროგნოზი და მავნე ზემოქმედებისაგან ატმოსფერული ჰაერის დაცვის ამოცანა.

ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების დაპროექტება, განაშენიანე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა, რეკონსტრუქცია უნდა წარმოებდეს ატმოსფერული ჰაერის დაცვის სანიტარიულ-ჰიგიენური და სხვა ნორმებისა და წესების შესაბამისად.

მ უ ხ ლ ი 36. ატმოსფერული ჰაერის დაცვის მიზნით დასახლებული პუნქტების ტერიტორიათა კეთილმოწყობა და გამწვანება

ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების თავიდან აცილების ან შემცირების მიზნით სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა უნდა განახორციელონ ღონისძიებანი დასახლებული პუნქტების ტერიტორიის კეთილმოწყობისა და გამწვანების ეკონომიკურ უმჯობესებისათვის, ხოლო საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა — მათ მიერ დაკავებული საწარმოო და სხვა ფართობებისა.

მ უ ხ ლ ი 37. ობიექტთა ჯგუფის ზემოქმედების დროს ატმოსფერული ჰაერის გაჯანსაღების კომპლექსური ღონისძიებანი

იმ რაიონებში, რომელთა ატმოსფერულ ჰაერზე გავლენას ახდენს საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ჯგუფის საქმიანობა, დადგენილი წესით მუშავდება და ხორციელდება ატმოსფერული ჰაერის გაჯანსაღების კომპლექსური ღონისძიებანი.

მ უ ხ ლ ი 38. იმ საწარმოო საქმიანობის შეზღუდვა, რომელიც იწვევს ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანებას

ატმოსფერულ ჰაერში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა განაფრქვევისა და მასზე მავნე ფიზიკური ზემოქმედების დადგენილ ნორმატივამდე შემცირების შეუძლებლობის შემთხვევაში შესაბამისი საწარმოები, ნაგებობანი და სხვა ობიექტები იხურება ან უნდა შეიცვალოს მათი საწარმოო პროფილი.

თავი XI

ალმოჩენების, გამოგონებების დანერგვისას, იმპორტული მოწყობილობის შესყიდვისას, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმოებისა და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას ატმოსფერული ჰაერის დაცვის მოთხოვნები

მ უ ხ ლ ი 39. ალმოჩენებისა და გამოგონებების, ახალი ტექნიკური სისტემების დანერგვისას, აგრეთვე იმპორტული მოწყობილობის შესყიდვისას ატმოსფერული ჰაერის დაცვის მოთხოვნების შესრულება

აკრძალულია ალმოჩენის, გამოგონების, რაციონალიზატორული წინადადების, ახალი ტექნიკური სისტემის, ნივთიერებისა და მასალის დანერგვა, აგრეთვე ტექნოლოგიური მოწყობილობისა და სხვა ობიექტების საზღვარგარეთ შეძენა, თუ ისინი არ აკმაყოფილებენ სსრ კავშირში დაწესებულ ატმოსფერული ჰაე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის დაცვის მოთხოვნებს და უზრუნველყოფილი არ არიან ატმოსფერულ ჰაერში განაფრქვევისადმი კონტროლის ტექნიკური საშუალებებით.

მ უ ხ ლ ი 40. მცენარეთა დაცვის საშუალებების, მინერალური სასუქებისა და ატმოსფერულ ჰაერზე მოქმედი სხვა პრეპარატების ნუსხისა და გამოყენების ხერხების შეთანხმების წესი

მცენარეთა დაცვის საშუალებების, მათი ზრდის სტიმულატორების, მინერალური სასუქებისა და სხვა იმ პრეპარატების ნუსხა, რომელთა გამოყენება ნებადართულია სახალხო მეურნეობაში, აგრეთვე მათი გამოყენების ხერხები შეთანხმებულ უნდა იქნეს ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის სპეციალურად უფლებამოსილ ორგანოებთან სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აღნიშნული მიზნით გამოსაყენებელი ახალი პრეპარატების შექმნისას უნდა შემუშავდეს ატმოსფერულ ჰაერში ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციათა ნორმატივები და ამ პრეპარატების ნარჩენი რაოდენობის განსაზღვრის მეთოდები.

მ უ ხ ლ ი 41. ატმოსფერული ჰაერის გამაჭუჭყიანებელი პრეპარატების გამოყენებისას ატმოსფერული ჰაერის დაცვის მოთხოვნები

კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სხვა საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, აგრეთვე მოქალაქეები მოვალენი არიან შეასრულონ მცენარეთა დაცვის საშუალებების, მათი ზრდის სტიმულატორების, მინერალური სასუქებისა და სხვა პრეპარატების ტრანსპორტირების, შენახვისა და გამოყენების წესები, რათა არ დაუშვან ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანება ამ ნივთიერებებით.

მ უ ხ ლ ი 42. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების დროს ატმოსფერული ჰაერის დაცვის მოთხოვნები

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, აფეთქების სამუშაოები, ტერიკონების, ნაყარების და სანაგვეების განლაგება და ექსპლოატაცია უნდა წარმოებდეს ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების თავიდან აცილების ან შემცირების წესების დაცვით, რაც შეთანხმებული უნდა იქნეს ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოებთან, აგრეთვე სხვა ორგანოებთან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

მ უ ხ ლ ი 43. დასახლებულ პუნქტებში იმ ტერიკონების, ნაყარების განლაგების, სამრეწველო და სხვა ნარჩენების დაწყობის აკრძალვა, რომლებიც წარმოადგენენ ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების წყაროს

დასახლებულ პუნქტებში ტერიკონების, ნაყარების განლაგება, სამრეწველო ნარჩენების, საწარმოო, საყოფაცხოვრებო ნაგვისა და სხვა იმ ნარჩენების

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწყობა, რომლებიც წარმოადგენენ მტვრით, მავნე გაზისებრი და მყარული ნივთიერებებით ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების წყაროებს, აგრეთვე აღნიშნული ნარჩენების დაწვა საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და დასახლებული პუნქტების ტერიტორიაზე აკრძალულია ამ შემთხვევების გარდა, როცა დაწვა ხორციელდება სპეციალური დანადგარების გამოყენებით და ამასთან სრულდება ატმოსფერული ჰაერის დაცვის მოთხოვნები.

მ უ ხ ლ ი 44. ატმოსფერული ჰაერის გამაჭუჭყიანებელი ნარჩენების გატანის მოთხოვნები

საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები მოვალენი არიან უზრუნველყონ ატმოსფერული ჰაერის გამაჭუჭყიანებელი ნარჩენების დროული გატანა საწარმოებში, რომლებიც ამ ნარჩენებს ნედლეულად იყენებენ, ან სპეციალიზებულ სანაგვეებზე.

თავი XII

ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ზემოქმედების მოწესრიგება ნორმატივების უქონლობის დროს. საწარმოო საჭიროებისათვის ატმოსფერული ჰაერის მოხმარების მოწესრიგება. ამინდსა და ჰავაზე ზემოქმედების მოწესრიგება

მ უ ხ ლ ი 45. ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ზემოქმედების მოწესრიგება ნორმატივების უქონლობის დროს

ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ზემოქმედება, რომლისთვისაც არ არის დადგენილი შესაბამისი ნორმატივები, შეიძლება დაშვებულ იქნეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ნებართვების, რომლებსაც გარკვეული ვადით გასცემენ სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები. ამ ვადის განმავლობაში უნდა დადგინდეს მავნე ზემოქმედების ზღვრულად დასაშვები შესაბამისი ნორმატივები და განხორციელდეს ატმოსფერული ჰაერის დაცვის საჭირო ღონისძიებანი.

მ უ ხ ლ ი 46. საწარმოო საჭიროებებისათვის ატმოსფერული ჰაერის მომხმარებელი ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობისადმი მოთხოვნები

საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების დაპროექტებისას, აგრეთვე ტექნოლოგიური პროცესებისა და მოწყობილობის შექმნისა და სრულყოფის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საწარმოო საჭიროებებისათვის ატმოსფერული ჰაერის მინიმალურად აუცილებელ მოხმარებას.

№ 1 ეროვნული ბიბლიოთეკა

მ უ ხ ლ ი 47. საწარმოო საჭიროებებისათვის ატმოსფერული ჰაერის მოხმარების შეზღუდვა

ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოებს შეუძლიათ შეზღუდონ, შეაჩერონ ან აკრძალონ ჰაერის მოხმარება საწარმოო საჭიროებებისათვის იმ შემთხვევაში, როცა ეს იწვევს ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობის ცვლილებებს, რომლებიც მავნე ზემოქმედებას ახდენენ ადამიანთა ჯანმრთელობაზე, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროზე.

მ უ ხ ლ ი 48. ამინდსა და ჰავაზე ზემოქმედების მოწესრიგება

მოქმედება, რომელიც მიმართულია სახალხო-სამეურნეო მიზნით ატმოსფეროს მდგომარეობისა და ატმოსფერული მოვლენების ხელოვნურად შესაცვლელად, შეიძლება განხორციელდეს სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ მხოლოდ სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების ნებართვით და მხოლოდ იმ პირობით, თუ ამას შედეგად არ მოჰყვება არახელსაყრელი ზემოქმედება ამინდსა და ჰავაზე.

თავი XIII

მატერიალური და მორალური სტიმულირება ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებათა განხორციელებისათვის

მ უ ხ ლ ი 49. მატერიალური და მორალური სტიმულირება ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებეთა განხორციელებისათვის

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით შეიძლება დადგინდეს საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე მოქალაქეების მატერიალური და მორალური წახალისების ღონისძიებანი, რომლებიც სტიმულს აძლევენ ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებათა განხორციელებას.

კარი III

ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ზემოქმედების სახელმწიფო აღრიცხვა

მ უ ხ ლ ი 50. ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ზემოქმედების სახელმწიფო აღრიცხვა

ობიექტები, რომლებიც მავნე ზემოქმედებას ახდენენ ატმოსფერულ ჰაერზე, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების სახეობები და

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაოდენობა, აგრეთვე მასზე მავნე ფიზიკური ზემოქმედების სახეობები და ოდენობა ექვემდებარება სახელმწიფო აღრიცხვას.

„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად ობიექტებისა და ატმოსფერულ ჰაერზე მათი მავნე ზემოქმედების სახელმწიფო აღრიცხვა ხორციელდება სახელმწიფოს ხარჯზე სსრ კავშირისათვის ერთიანი სისტემით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

ᲙᲐᲠᲘ IV

ᲓᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘ ᲐᲢᲛᲝᲡᲤᲔᲠᲣᲚᲘ ᲰᲐᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ

ᲛᲣᲮᲚᲘ 51. დაკვირვება ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობაზე

ქიმიური, ფიზიკური და ბიოლოგიური მაჩვენებლების მიხედვით ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობაზე დაკვირვებას ახორციელებს გარემო ბუნების გაჭუჭყიანების დონეზე დაკვირვებისა და კონტროლის საერთო სახელმწიფო სამსახური; დაკვირვება წარმოებს სსრ კავშირის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობის ამსახველი ინფორმაციის შეკრება, შენახვა, ძიება და დამუშავება ხორციელდება ერთიანი სისტემით.

ᲛᲣᲮᲚᲘ 52. ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲐᲢᲛᲝᲡᲤᲔᲠᲣᲚᲘ ᲰᲐᲔᲠᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

გარემო ბუნების გაჭუჭყიანების დონეზე დაკვირვებისა და კონტროლის საერთო-სახელმწიფოებრივ სამსახურს ეკისრება უზრუნველყოს დაინტერესებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები სისტემატური ინფორმაციითა და პროგნოზებით სამეურნეო საქმიანობისა და მეტეოროლოგიური პირობების გავლენით ატმოსფეროს გაჭუჭყიანების დონეთა შესახებ.

ᲛᲣᲮᲚᲘ 53. ᲓᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐ ᲐᲢᲛᲝᲡᲤᲔᲠᲣᲚᲘ ᲰᲐᲔᲠᲘᲡ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔᲡ ᲣᲥᲛᲜᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲡ

თუ მეტეოროლოგიური ფაქტორების, ატმოსფეროში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა განაფრქვევისა და ატმოსფერულ ჰაერზე სხვა მავნე ზემოქმედების არახელსაყრელი შეხამების შედეგად ცალკეულ რაიონებში საფრთხე ექმნება ადამიანთა ჯანმრთელობას, გარემო ბუნების გაჭუჭყიანების დონეზე დაკვირვებისა და კონტროლის საერთო-სახელმწიფოებრივი სამსახურის ორგანოები ვალდებული არიან ამის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინონ შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებელ კომიტეტებს, დაინტერესებულ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა აღგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ასეთი ცნობების მიღებისას დადგენილი წესით გადაპყავთ მუშაობის სპეციალურ რეჟიმზე ან დროებით აჩერებენ საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და სატრანსპორტო საშუალებათა მუშაობას იმ მიზნით, რომ შეამცირონ განაფრქვევის ინტენსიურობა და აღმოფხვრან ატმოსფეროზე სხვა მავნე ზემოქმედება, საჭირო შემთხვევებში ახორციელებენ მოსახლეობის დროებით ევაკუაციას და ატარებენ სხვა გადაუდებელ ღონისძიებებს.

მ უ ხ ლ ი 54. ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლი

ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის ამოცანაა ყველა სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტის და უწყების, სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა, აგრეთვე მოქალაქეთა მიერ ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებების შესრულების უზრუნველყოფა, ატმოსფეროში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა გაფრქვევისა და მასზე მავნე ზემოქმედების პირობების დაცვა, აგრეთვე სხვა წესებისა, რომლებიც დადგენილია კანონმდებლობით ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ.

მ უ ხ ლ ი 55. ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის ორგანოები

ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლს ახორციელებენ სახალხო დეპუტატთა საბჭოები, მათი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები, აგრეთვე სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მ უ ხ ლ ი 56. უწყებრივი კონტროლი ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი

ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი, მათ შორის ატმოსფერულ ჰაერში ზღვრულად დასაშვები გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა განაფრქვევისა და მასზე მავნე ფიზიკური ზემოქმედების ნორმატიულების შესრულებისადმი უწყებრივ კონტროლს ახორციელებენ ორგანოები, რომელთა გამგებლობაშია ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ზემოქმედების მომხდენი საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები.

უწყებრივი კონტროლის განხორციელებისას სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები მოვალენი არიან იხელმძღვანელონ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით, ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოების მიერ დამტკიცებული წესებითა და ინსტრუქციებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარი V

ატმოსფერული ჰაერის დაცვის საკითხთა გამო დავის გადაწყვეტა

მ უ ხ ლ ი 57. ატმოსფერული ჰაერის დაცვის საკითხთა გამო დავის გადაწყვეტის წესი

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე წამოჭრილ ატმოსფერული ჰაერის დაცვის საკითხთა გამო დავას წყვეტენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სახალხო დეპუტატთა აღგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, აგრეთვე სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მ უ ხ ლ ი 58. ატმოსფერული ჰაერის დაცვის საკითხთა გამო დავის გადაწყვეტის წესი საქართველოს სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის

„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად საქართველოს სსრ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის დავას ატმოსფერული ჰაერის დაცვის საკითხთა გამო განიხილავს კომისია, რომელიც იქმნება პარიტეტულ საწყისებზე დაინტერესებული მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლებისაგან. იმ შემთხვევაში, თუ კომისიამ ვერ მიაღწია შეთანხმებას, მაშინ დავა აღნიშნულ საკითხზე განიხილება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

მ უ ხ ლ ი 59. ატმოსფერული ჰაერის დაცვის საკითხთა გამო დავის განხილვის წესი საქართველოს სს რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონების ტერიტორიაზე განლაგებულ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის

ატმოსფერული ჰაერის დაცვის საკითხთა გამო დავას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის, რომლებიც იმყოფებიან რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) დაქვემდებარების ორი ან მეტი რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე წყვეტს სახალხო დეპუტატთა ერთ-ერთი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის დავალებით.

ატმოსფერული ჰაერის დაცვის საკითხებზე დავას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის, რომელთაგან ერთი აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ ან სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე იმყოფება, ხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო მეორე რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) დაქვემდებარების რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე, წყვეტს სახალხო დეპუტატთა ერთ-ერთი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დავალებით.

კარი VI

პასუხისმგებლობა ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის

მ უ ხ ლ ი 60. პასუხისმგებლობა ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის

პირებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანონმდებლობის შემდეგ დარღვევებში:

ატმოსფერულ ჰაერში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გამონაფრქვევის ნორმატივების გადამეტებაში;

ატმოსფერულ ჰაერზე ზღვრულად დასაშვები მავნე ფიზიკური ზემოქმედების ნორმატივების გადამეტებაში;

ატმოსფეროში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა გაფრქვევაში სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების ნებართვის გარეშე;

ატმოსფეროში განაფრქვევის საწმენდი და საკონტროლო ნაგებობების, მოწყობილობისა და აპაადატურის ექსპლოატაციის წესების დარღვევაში. აგრეთვე მათ გამოუყენებლობაში;

ახალი და რეკონსტრუირებული საწარმოების, ნაგებობების და სხვა ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემაში რომლებიც არ აკმაყოფილებენ ატმოსფერული ჰაერის დაცვის მოთხოვნებს;

ისეთი ავტომობილების, თვითმფრინავების, ვემბისა და სხვა მოძრავი საშუალებებისა და დანადგარების წარმოებასა და ექსპლოატაციაში, რომელთა განაფრქვევში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა შემცველობა დადგენილ ნორმატივებს აღემატება;

ისეთი აღმოჩენების, გამოგონებების, რაციონალიზატორული წინადადებების, ახალი ტექნიკური სისტემების, ნივთიერებებისა და მასალების დანერგვაში, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნებში ტექნოლოგიური მოწყობილობისა და სხვა ობიექტების შეძენაში, რომლებიც არ აკმაყოფილებენ სსრ კავშირში დადგენილ მოთხოვნებს ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ და უზრუნველყოფილი არ არიან ატმოსფეროში განაფრქვევისადმი კონტროლის ტექნიკური საშუალებებით;

სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების დაწყობის, მცენარეთა დაცვის საშუალებების, მათი ზრდის სტიმულატორების, მინერალური სასუქებისა და სხვა პრეპარატების ტრანსპორტირების, შენახვისა და გამოყენების წესების დარღვევაში, რასაც მოჰყვა ან შეიძლება მოჰყოლოდა ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოების მითითებათა შეუსრულებლობაში,

ეკისრებათ სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული ან სხვა პასუხისმგებლობა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით შეიძლება დაწესდეს პასუხისმგებლობა ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანონმდებლობის სხვა დარღვევებისათვისაც.

მ უ ხ ლ ი 61. ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანონმდებლობის დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება

საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და მოქალაქენი მოვალენი არიან აანაზღაურონ ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანონმდებლობის დარღვევით მიყენებული ზიანი სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი ოდენობითა და წესით. თანამდებობის პირებსა და სხვა მუშაკებს, რომელთა ბრალითაც საწარმომ, დაწესებულებამ და ორგანიზაციამ გაიღეს ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ხარჯები, ეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა დადგენილი წესით.

კარი VII

საერთაშორისო ხელშეკრულებანი

მ უ ხ ლ ი 62. საერთაშორისო ხელშეკრულებანი

„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად, თუ სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილია ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საბჭოთა კანონმდებლობისაგან განსხვავებული წესები, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების წესები.

ასეთივე წესი გამოიყენება ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საქართველოს სსრ კანონმდებლობის მიმართ, თუ საქართველოს სსრ საერთაშორისო ხელშეკრულებაში დადგენილია ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საქართველოს სსრ კანონმდებლობისაგან განსხვავებული წესები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშკარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 19 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

132 „ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე

„ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ საქართველოს სსრ კანონი „ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ“ 1981 წლის 1 ოქტომბრიდან.

2. დაწესდეს, რომ „ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონი შეეფარდება ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა კანონის სამოქმედოდ შემოღების შემდეგ, ანუ 1981 წლის 1 ოქტომბრიდან.

„ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღებამდე წარმოშობილ მართლურთიერთობაში მის მონაწილეთა უფლებებისა და მოვალეობების განხორციელება 1981 წლის 1 ოქტომბრიდან მოწესრიგდება აღნიშნული კანონის შესაბამისად.

3. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს შეუსაბამოს რესპუბლიკის კანონმდებლობა საქართველოს სსრ კანონს „ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ“.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შეუსაბამოს საქართველოს სსრ მთავრობის გადწყვეტილებანი საქართველოს სსრ კანონს „ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1981 წლის 19 ივნისი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ

ცხოველთა სამყარო ბუნებრივი გარემოს ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი, ჩვენი სამშობლოს ბუნებრივ სიმდიდრეთა დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. იგი სამრეწველო, სამკურნალოწამლო ნედლეულის, სასურსათო პროდუქტებისა და სხვა იმ მატერიალურ ღირებულებათა მიღების წყაროა, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მლებიც საჭიროა მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. ცხოველთა სამყარო გამოიყენება აგრეთვე მეცნიერული, კულტურულ-საგანმანათლებლო და ესთეტიკური მიზნებისათვის.

სსრ კავშირის კონსტიტუცია და საქართველოს სსრ კონსტიტუცია ითვალისწინებს, რომ სსრ კავშირში, რომლის შემადგენლობაში სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან ნებაყოფლობითი გაერთიანებისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე შედის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, ახლანდელ და მომავალ თაობათა ინტერესებისათვის ხორციელდება ღონისძიებანი ცხოველთა სამყაროს დაცვისა და მეცნიერულად დასაბუთებული, რაციონალური გამოყენებისათვის. ეს ღონისძიებანი ხორციელდება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების შესაბამისად სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე მოქალაქეების აქტიური მონაწილეობით.

საბჭოთა კანონმდებლობა მოწოდებულია შეუწყოს ხელი ცხოველთა სამყაროს ეფექტიან დაცვას და რაციონალურ გამოყენებას, საბჭოთა ადამიანების აღზრდას ცხოველთა სამყაროსადმი მზრუნველი და ჰუმანური დამოკიდებულების სულისკვეთებით.

კარი I

ზოგადი დებულებანი

თავი I

ძირითადი დებულებანი

მუხლი 1. ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ საბჭოთა კანონმდებლობის ამოცანები

ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ საბჭოთა კანონმდებლობის ამოცანებია გარეულ ცხოველთა დაცვისა და გამოყენების დარგში საზოგადოებრივი ურთიერთობის მოწესრიგება ბუნებრივი თავისუფლების პირობებში მათი არსებობის, ბუნებრივ გაერთიანებათა მთლიანობის შენარჩუნებისა და რაციონალურად გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით, აგრეთვე ამ დარგში კანონიერების განმტკიცება.

მუხლი 2. სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების თაობაზე შედგება „ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონისა და მის შესაბამისად გამოცემული სსრ კავშირის კანონმდებლობის სხვა აქტებისაგან, ამ კანონისა და ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ საქართველოს სსრ კანონმდებლობის სხვა აქტებისაგან.

№ 7 ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონმდებლობა ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ აწესრიგებს ურთიერთობას ხმელეთზე, წყალში, ატმოსფეროსა და ნიადაგში ბუნებრივი თავისუფლების პირობებში მცხოვრები იმ გარეული ცხოველების (ძუძუმწოვრების, ფრინველების, ქვეწარმავლების, ამფიბიების, თევზების, აგრეთვე მოლუსკების, მწერებისა და სხვათა) დაცვისა და გამოყენების საქმეში, რომლებიც ქვეყნის ტერიტორიაზე მუდმივად ან დროებით ბინადრობენ ან განეკუთვნებიან სსრ კავშირის კონტინენტური შელვის ბუნებრივ სიმდიდრეებს.

ურთიერთობას სასოფლო-სამეურნეო და სხვა შინაურ ცხოველთა, აგრეთვე იმ გარეულ ცხოველთა დაცვისა და გამოყენების დარგში, რომლებიც ჰყავთ ტყვეობის ან ნახევრად ლაღ პირობებში სამეურნეო, კულტურული, სამეცნიერო, ესთეტიკური თუ სხვა მიზნებისათვის, აწესრიგებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ შესაბამისი კანონმდებლობა. პასუხისმგებლობას აღნიშნულ ცხოველთა დაცვის, მოვლა-პატრონობისა და გამოყენების წესების დარღვევისათვის ადგენს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

მ უ ხ ლ ი 3. ცხოველთა სამყაროს სახელმწიფო (საერთო-სახალხო) საკუთრება სსრ კავშირში

„ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად ცხოველთა სამყარო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას — მთელი საბჭოთა ხალხის საერთო კუთვნილებას.

მოქმედება, რომელიც აშკარა თუ ფარული ფორმით არღვევს სსრ კავშირში ცხოველთა სამყაროს სახელმწიფო საკუთრების უფლებას, აკრძალულია.

მ უ ხ ლ ი 4. სსრ კავშირის კომპეტენცია ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების ურთიერთობის მოწესრიგების დარგში

„ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების ურთიერთობის მოწესრიგების დარგში სსრ კავშირის გამგებლობას განეკუთვნება:

1) ცხოველთა სამყაროს განკარგვა სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად სსრ კავშირის უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ფარგლებში;

2) ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების დარგში საერთო ღონისძიებათა განსაზღვრა და ძირითადი დებულებების, წესებისა და ნორმების დადგენა;

3) ცხოველთა სამყაროს დაცვისა და რაციონალური გამოყენების საერთო-საკავშირო გეგმების შემუშავება და დამტკიცება;

4) სსრ კავშირისათვის ერთიანი ცხოველთა სახელმწიფო აღრიცხვისა და გამოყენების სისტემებისა და ცხოველთა სამყაროს სახელმწიფო კადასტრის წარმოების წესის დადგენა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

5) სახელმწიფო კონტროლი ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენებისადმი და მისი განხორციელების წესის დადგენა;

6) ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების დარგის საერთო-საკავშირო მნიშვნელობის სხვა საკითხთა გადაწყვეტა სსრ კავშირის კონსტიტუციისა და „ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად.

მ უ ხ ლ ი 5. საქართველოს სსრ კომპეტენცია ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების ურთიერთობის მოწესრიგების დარგში

სსრ კავშირის კომპეტენციის ფარგლებს გარეთ ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების ურთიერთობის მოწესრიგების დარგში საქართველოს სსრ გამგებლობას განეკუთვნება: ცხოველთა სამყაროს განკარგვა რესპუბლიკის ტერიტორიაზე და მისი დაცვისა და გამოყენების წესის დადგენა; ცხოველთა სამყაროს დაცვისა და რაციონალური გამოყენების რესპუბლიკური გეგმების შემუშავება და დამტკიცება; ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენებისადმი სახელმწიფო კონტროლის განხორციელება, აგრეთვე ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების დარგში სხვა საკითხების გადაწყვეტა, თუ ისინი სსრ კავშირის კომპეტენციას არ განეკუთვნებიან.

მ უ ხ ლ ი 6. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კომპეტენცია ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების ურთიერთობის მოწესრიგების დარგში

ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების ურთიერთობის მოწესრიგების დარგში აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ გამგებლობას სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კომპეტენციის ფარგლებს გარეთ განეკუთვნება: ცხოველთა სამყაროს განკარგვა შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე; ცხოველთა სამყაროს დაცვისა და რაციონალური გამოყენების რესპუბლიკური (ასსრ) გეგმების შემუშავება-დამტკიცება და ღონისძიებათა განხორციელება; ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენებისადმი სახელმწიფო კონტროლის განხორციელება, აგრეთვე ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების დარგში სხვა საკითხების გადაწყვეტა, თუ ისინი სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კომპეტენციას არ განეკუთვნებიან.

თავი II

სახელმწიფო მართვა ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების დარგში

მ უ ხ ლ ი 7. სახელმწიფო მართვა ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების დარგში

„ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად სახელმწიფო მართვას ცხოველთა სამყაროს დაცვისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოყენების დარგში საქართველოს სს რესპუბლიკაში ახორციელებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, აგრეთვე სპეციალურად სამინისოდ უფლებამოსილი ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების მოწესრიგების სახელმწიფო ორგანოები და სხვა სახელმწიფო ორგანოები სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს სს რესპუბლიკის ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების მოწესრიგების სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოებია საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი და ადგილებზე მათი ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

მ უ ხ ლ ი 8. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სახელმწიფო მართვის კომპეტენცია ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების დარგში

ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების დარგში სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გამგებლობას განეკუთვნება: ცხოველთა სამყაროს დაცვისა და რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა დაგეგმვაში მონაწილეობა; ცხოველთა სამყაროს დაცვისა და რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელების უზრუნველყოფა, აგრეთვე ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების დარგში სხვა საკითხების გადაწყვეტა მათი კომპეტენციის ფარგლებში.

თ ა ვ ი III

ცხოველთა სამყაროს დაცვისა და რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა დაგეგმვა

მ უ ხ ლ ი 9. ცხოველთა სამყაროს დაცვისა და რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა დაგეგმვა

ცხოველთა სამყაროს დაცვისა და რაციონალური გამოყენების დავალებები და ღონისძიებები გაითვალისწინება ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებში.

ცხოველთა სამყაროს დაცვისა და რაციონალური გამოყენების გეგმების პროექტები, რომლებსაც სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები შეიმუშავებენ, შეთანხმებული უნდა იქნეს სპეციალურად სამისოდ უფლებამოსილ ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების მოწესრიგების სახელმწიფო ორგანოებთან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ უ ხ ლ ი 10. ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების ძირითადი მოთხოვნები

იმ ღონისძიებათა დაგეგმვისა და განხორციელების დროს, რომლებსაც შეუძლიათ ზემოქმედება მოახდინონ ცხოველთა ბინადრობის გარემოსა და ცხოველთა სამყაროს მდგომარეობაზე, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს შემდეგ ძირითად მოთხოვნათა შესრულება:

ცხოველთა სახეობრივი მრავალფეროვნების შენარჩუნება ბუნებრივი თავისუფლების პირობებში;

ცხოველთა ბინადრობის გარემოს, გამრავლების პირობებისა და მიგრაციის გზების დაცვა;

ცხოველთა ბუნებრივი გაერთიანებების მთლიანობის შენარჩუნება;

ცხოველთა სამყაროს მეცნიერულად დასაბუთებული, რაციონალური გამოყენება და მომრავლება;

ცხოველთა რიცხვის მოწესრიგება მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სახალხო მეურნეობისადმი ზარალის თავიდან აცილების მიზნით.

თ ა ვ ი IV

საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოქალაქეთა მიერ ხელის შეწყობა ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებაში

მ უ ხ ლ ი 11. საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოქალაქეთა მიერ ხელის შეწყობა ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებაში

პროფესიული კავშირები, ახალგაზრდობის ორგანიზაციები, ბუნების დაცვის საზოგადოებანი, მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებანი, სამეცნიერო საზოგადოებანი და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აგრეთვე მოქალაქენი ხელს უწყობენ სახელმწიფო ორგანოებს ცხოველთა სამყაროს დაცვისა და რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებაში.

სახელმწიფო ორგანოები მოვალე არიან ყოველმხრივ გაითვალისწინონ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოქალაქეთა წინადადებები ცხოველთა სამყაროს დაცვისა და რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებისას.

მ უ ხ ლ ი 12. ცხოველთა სამყაროს დაცვისა და რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფისათვის საქმიანობაში საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მონაწილეობის წესი

საზოგადოებრივი ორგანიზაციები მონაწილეობენ ცხოველთა სამყაროს დაცვისა და რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფისათვის საქმიანობაში მათი წესდებების (დებულებების) და სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ უ ხ ლ ი 13. საზოგადოებრივი ინსპექციები

ცხოველთა სამყაროს დაცვაში სახელმწიფო ორგანოებისათვის ხელის შეწყობად შეიძლება შეიქმნას საზოგადოებრივი ინსპექციები.

საზოგადოებრივი ინსპექციების დებულებანი დამტკიცდება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მ უ ხ ლ ი 14. ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის წესი და ფორმები

მოქალაქეები ვალდებული არიან დაიცვან ცხოველთა სამყარო. ისინი სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ცხოველთა სამყაროს დაცვისა და რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებაში ხელს უწყობენ საჭირო სამუშაოებში უშუალო მონაწილეობით, ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების გაუმჯობესების თაობაზე წინადადებების შეტანით, ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ კანონმდებლობის მათთვის ცნობილი დარღვევების შეტყობინებით.

კ ა რ ი II

ცხოველთა სამყაროთი სარგებლობა

თ ა ვ ი V

ცხოველთა სამყაროთი მოსარგებლენი. ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის სახეობანი და პირობები

მ უ ხ ლ ი 15. ცხოველთა სამყაროთი მოსარგებლენი

ცხოველთა სამყაროთი მოსარგებლენი შეიძლება იყვნენ სახელმწიფო, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, აგრეთვე სსრ კავშირის მოქალაქეები.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ცხოველთა სამყაროთი მოსარგებლენი შეიძლება იყვნენ აგრეთვე სხვა ორგანიზაციები და პირები.

მ უ ხ ლ ი 16. ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის სახეობანი

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვისას შეიძლება განხორციელდეს ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის შემდეგი სახეობანი:

1) ნადირობა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

2) თევზჭერა, წყლის უხერხემლოთა და ზღვის ძუძუმწოვართა მოპოვების ჩათვლით;

3) იმ ცხოველთა მოპოვება, რომლებიც არ განეკუთვნებიან ნადირობისა და თევზჭერის ობიექტებს;

4) ცხოველთა სამყაროთი სარგებლობა სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი და ესთეტიკური მიზნებისათვის;

5) ცხოველთა — ნიადაგწარმომქმნელთა, გარემოს ბუნებრივ სანიტართა, მცენარეების დამმტვერავთა და სხვათა ცხოველქმედების სასარგებლო თვისებების გამოყენება;

6) ცხოველთა გამოყენება მათი ცხოველქმედების პროდუქტების მიღების მიზნით.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს აგრეთვე ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის სხვა სახეობანი.

მ უ ხ ლ ი 17. ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის განხორციელების ვადები

ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის ცალკეულ სახეობათა განხორციელების ვადები დგინდება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

მ უ ხ ლ ი 18. ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის უსასყიდლობა

ცხოველთა სამყაროთი სარგებლობა ხორციელდება უფასოდ. სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით შეიძლება დადგინდეს ცხოველთა სამყაროთი ფასიანი სარგებლობის შემთხვევები და წესი.

თ ა ვ ი VI

ნ ა დ ი რ ო ბ ა

მ უ ხ ლ ი 19. ნადირობის სახეობანი

ნადირ-ფრინველის სარეწაო მოპოვება, აგრეთვე სამოყვარულო და სპორტული ნადირობა ხორციელდება დადგენილი წესით.

სარეწაო ნადირობის უფლება აქვთ სამონადირეო მეურნეობათა მონადირეებს.

ნადირობისას აკრძალულია საყოველთაოდ საშიში სანადირო იარაღისა და ხერხების გამოყენება.

აკრძალული სანადირო იარაღისა და ხერხების ნუსხას ადგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

№ ეროვნული ბიბლიოთეკა

მ უ ხ ლ ი 20. სამონადირეო მეურნეობის გაძღოლა

სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შეიძლება მიეცეთ სამონადირეო სავარგულებში სამონადირეო მეურნეობის გაძღოლის უფლება. აღნიშნული საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები მოვალენი არიან განახორციელონ ამ სავარგულებში გარეულ ცხოველთა დაცვისა და მომრავლების ღონისძიებანი.

მ უ ხ ლ ი 21. სამონადირეო მეურნეობის გაძღოლის უფლების მიცემის წესი

სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს სამონადირეო მეურნეობის გაძღოლის უფლება ეძლევათ სამონადირეო სავარგულების ბიოლოგიურ-ეკონომიკური გამოკვლევის საფუძველზე მათი შემდგომი მოწყობისა და სამონადირეო მეურნეობის ორგანიზაციისათვის, მათში ცხოველთა დაცვის, მოშენებისა და მოპოვების ნორმირების ღონისძიებათა ჩასატარებლად.

მ უ ხ ლ ი 22. იმ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების უფლება-მოვალეობანი, რომლებიც უძღვებიან სამონადირეო მეურნეობას

საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომელთაც სამონადირეო მეურნეობის გაძღოლის უფლება აქვთ, შეუძლიათ მიწათმოსარგებლეებთან შეთანხმებით სამონადირეო სავარგულებში ააშენონ საჭირო ნაგებობანი, დათესონ საკვები და დამცავი მცენარეები და განახორციელონ სამონადირეო მეურნეობის გასაძღოლად საჭირო სხვა ღონისძიებანი.

საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც სამონადირეო მეურნეობას უძღვებიან, მათთვის განკუთვნილ სავარგულებში სამონადირეო მეურნეობის გაძღოლის წესების დარღვევისათვის ეკისრებათ პასუხისმგებლობა ამ სავარგულებში განსაზღვრული ვადით ნადირობის აკრძალვის ან სამონადირეო სავარგულების ჩამორთმევის სახით.

მ უ ხ ლ ი 23. ნადირობისა და სამონადირეო მეურნეობის გაძღოლის წესები

ნადირობისა და სამონადირეო მეურნეობის გაძღოლის წესები დგინდება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

თავი VII

თევზჭერა

მ უ ხ ლ ი 24. თევზჭერის სახეობანი

სარეწაო თევზჭერა, წყლის უხერხემლოთა და ზღვის ძუძუმწოვართა მოპოვება, აგრეთვე თევზის სამოყვარულო და სპორტული ჭერა და წყლის უხერხემლოთა მოპოვება ხორციელდება დადგენილი წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ უ ხ ლ ი 25. სარეწაო თევზჭერა და წყლის სხვა ცხოველთა მოპოვება

სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შეიძლება მიეცეთ სარეწაო თევზჭერისა და წყლის უხერხემლოთა და ზღვის ძუძუმწოვართა რეწვის უფლება თევზის მეურნეობის წყალსატევების სარეწაო უბნებში. აღნიშნული საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები მოვალენი არიან განახორციელონ წყალსატევთა ამ უბნებში თევზისა და წყლის უხერხემლოთა დაცვისა და მომრავლების ღონისძიებანი.

მ უ ხ ლ ი 26.სამოყვარულო და სპორტული თევზჭერა

პირადი მოხმარებისათვის სამოყვარულო და სპორტული თევზჭერა, თევზჭერის დადგენილი წესების დაცვით, ნებადართულია ყველა მოქალაქისათვის უფასოდ, ყველა წყალსატევში, გარდა იმ წყალსატევებისა და წყალსატევთა უბნებისა, რომლებიც უჭირავს ნაკრძალებს, თევზის სანაშენეებს, გუბურებს და თევზის სხვა კულტურულ მეურნეობებს. აღნიშნული მიზნებისათვის თევზდაცვის ორგანოებს შეუძლიათ გამოყონ წყალსატევები ან მათი ცალკეული უბნები.

სამოყვარულო და სპორტული თევზჭერა მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებებისა და სხვა ნებაყოფლობით საზოგადოებათა კულტურულ თევზმეურნეობებში მოქალაქეთა მიერ ხორციელდება ამ საზოგადოებების მიერ გაცემული ნებართვით უფასოდ ან ფასით.

მ უ ხ ლ ი 27. თევზჭერის და წყლის უხერხემლოთა და ზღვის ძუძუმწოვართა მოპოვების წესები

„ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების“ შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად თევზჭერის და წყლის უხერხემლოთა და ზღვის ძუძუმწოვართა მოპოვების წესები დგინდება სსრ კავშირის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

თავი VIII

ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის სხვა სახეობანი

მ უ ხ ლ ი 28. იმ ცხოველთა მოპოვება, რომლებიც არ განეკუთვნებიან ნადირობისა და თევზჭერის ობიექტებს

საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, აგრეთვე მოქალაქეებს ნება ეძლევათ მოიპოვონ ცსოველები, რომლებიც არ განეკუთვნებიან ნადირობისა და თევზჭერის ობიექტებს.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით განისაზღვრება იმ სახეობების ცხოველთა ნუსხა, რომლებიც არ განეკუთვნებიან ნადირობისა და თევზჭერის ობიექტებს და რომელთა მოპოვება ხორციელდება მხოლოდ სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი ცხოველთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამყაროს დაცვისა და გამოყენების მოწესრიგების სახელმწიფო ორგანოებ-ზეერ გაცემული ნებართვით, აგრეთვე ისეთი სახეობების ცხოველთა ნუსხა, რომელთა მოპოვება აკრძალულია.

მ უ ხ ლ ი 29. ცხოველთა სამყაროთი სარგებლობა სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი და ესთეტიკური მიზნებისათვის გარემოდან ცხოველთა გაუყვანლად

ცხოველთა სამყაროთი სარგებლობა სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი და ესთეტიკური მიზნებისათვის (დაკვირვების სხვადასხვა ფორმის, ნიშანდების, ფოტოგრაფირების მეშვეობით და ა. შ.) გარემოდან ცხოველთა გაუყვანლად დაშვებულია, თუ ეს ზიანს არ აყენებს ცხოველებს ან მათი ბინადრობის გარემოს და არ აღღვევს ცხოველთა სამყაროთი სხვა მოსარგებლეების უფლებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი სარგებლობა აკრძალულია.

მ უ ხ ლ ი 30. ცხოველთა სამყაროთი სარგებლობა სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი და ესთეტიკური მიზნებისათვის გარემოდან ცხოველთა გაყვანით

ცხოველთა სამყაროთი სარგებლობა სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი და ესთეტიკური მიზნებისათვის დაშვებულია გარემოდან ცხოველთა გაყვანითაც „ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონით, ამ კანონით და სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის სხვა აქტებით გათვალისწინებული წესით.

მ უ ხ ლ ი 31. ცხოველთა ცხოველქმედების სასარგებლო თვისებების გამოყენება

ცხოველთა — ნიადაგწარმომქმნელთა, გარემოს ბუნებრივ სანიტართა, მცენარეების დამმტვერავთა და სხვათა ცხოველქმედების სასარგებლო თვისებების გამოყენება დაშვებულია გარემოდან ცხოველთა გაუყვანლად, იმ შემთხვევების გარდა, რომლებიც განისაზღვრება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მ უ ხ ლ ი 32. ცხოველთა გამოყენება მათი ცხოველქმედების პროდუქტების მიღების მიზნით

ცხოველთა გამოყენება მათი ცხოველქმედების პროდუქტების (ველური ფუტკრის თაფლის, ცვილისა და ა. შ.) მიღების მიზნით დაშვებულია მხოლოდ გარემოდან ცხოველთა გაუყვანლად და გაუნადგურებლად და მათი ბინადრობის გარემოს დაურღვევლად.

ცხოველთა ცხოველქმედების პროდუქტების მიღების მიზნით მათი გამოყენების წესებს განსაზღვრავენ სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი ცხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების რეგულირების სახელმწიფო ორგანო-ები.

თავი IX

ცხოველთა რიცხვის მოწესრიგება

მ უ ხ ლ ი 33. ცხოველთა რიცხვის მოწესრიგების ღონისძიებანი

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის, სასოფლო-სამეურნეო და სხვა შინაურ ცხოველთა დაავადებებისა და სახალხო მეურნეობისადმი ზარალის თავიდან აცილების მიზნით ხორციელდება ღონისძიებანი ცალკეულ სახეობათა გარეული ცხოველების რიცხვის მოსაწესრიგებლად.

ცალკეულ სახეობათა ცხოველების რიცხვის მოწესრიგების ღონისძიებანი უნდა ხორციელდებოდეს ჰუმანური ხერხებით, რომლებიც გამორიცხავენ სხვა სახეობის ცხოველებისათვის ზიანის მიყენებას და უზრუნველყოფენ ცხოველთა ბინადრობის გარემოს შენარჩუნებას.

მ უ ხ ლ ი 34. ცხოველთა რიცხვის მოწესრიგების ღონისძიებათა განხორციელება

იმ ცხოველთა სახეობებს, რომელთა რიცხვიც ექვემდებარება მოწესრიგებას, და მათი რიცხვის მოწესრიგების ღონისძიებათა ჩატარების წესს განსაზღვრავენ სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების მოწესრიგების სახელმწიფო ორგანოები შესაბამისი სამეცნიერო ორგანიზაციების დასკვნების გათვალისწინებით და დაინტერესებულ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან შეთანხმებით.

თავი X

ცხოველთა სამყაროთი მოსარგებლეთა უფლება-მოვალეობანი. ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძვლები

მ უ ხ ლ ი 35. ცხოველთა სამყაროთი მოსარგებლეთა უფლებები

საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს უფლება აქვთ განახორციელონ ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის მხოლოდ ის სახეობანი, რომლებიც ნებადართული აქვთ.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით ცხოველთა სამყაროთი მოსარგებლეთა უფლებები შეიძლება შეიზღუდოს სახელმწიფოს ინტერესებისათვის, აგრეთვე ცხოველთა სამყაროთი სხვა მოსარგებლეთა ინტერესებისათვის.

№ ეროვნული ბიბლიოთეკა

მ უ ხ ლ ი 36. ცხოველთა სამყაროთი მოსარგებლეთა მოვალეობანი

სარგებლობის სახეობისდა მიხედვით ცხოველთა სამყაროთი მოსარგებლენი მოვალენი არიან:

დაიცვან ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის დადგენილი წესები, ნორმები და ვადები;

ისარგებლონ ცხოველთა სამყაროთი იმ ხერხებით, რომლებიც არ არღვევენ ბუნებრივ გაერთიანებათა მთლიანობას და უზრუნველყოფენ სარგებლობაში გადაუცემელი ცხოველების შენარჩუნებას;

არ დაუშვან ცხოველთა ბინადრობის გარემოს დარღვევა;

აწარმოონ გამოყენებული ცხოველების რიცხვისა და მდგომარეობის, აგრეთვე მათი ბინადრობის გარემოს მდგომარეობის აღრიცხვა;

განახორციელონ ცხოველთა სამყაროს მომრავლებისათვის საჭირო კომპლექსური ღონისძიებანი;

ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ სახელმწიფო და სხვა ორგანოებს, რომლებიც ახორციელებენ კონტროლს ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენებისადმი;

ცხოველთა სამყაროთი მოსარგებლენი მოვალენი არიან შეასრულონ აგრეთვე ცხოველთა სამყაროს დაცვის, მომრავლების და გამოყენების სხვა მოთხოვნები, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით.

მ უ ხ ლ ი 37. ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძვლები

ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის უფლება უნდა შეწყდეს შესაბამისად მთლიანად ან ნაწილობრივ იმ შემთხვევებში, თუ:

1) საჭირო აღარ არის სარგებლობა ან უარი თქვეს მასზე;

2) გავიდა სარგებლობის დადგენილი ვადა;

3) წარმოიშვა სარგებლობიდან ცხოველთა სამყაროს ობიექტების ამოღების საჭიროება ცხოველთა დაცვის მიზნით;

4) მოხდა იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ლიკვიდაცია, რომლებსაც მინიჭებული ჰქონდათ სარგებლობის უფლება.

ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის უფლება შეიძლება შეწყდეს აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მოსარგებლე არ ასრულებს ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების დადგენილ წესებს, ნორმებსა და სხვა მოთხოვნებს.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს აგრეთვე ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის უფლების შეწყვეტის სხვა საფუძვლებიც.

მ უ ხ ლ ი 38. ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის უფლების შეწყვეტის წესი

ამ კანონის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი, მე-3, მე-4 პუნქტებით და მეორე ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში ცხოველთა სამყარო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი სარგებლობის უფლებას წყვეტენ შესაბამისი ორგანოები მათ მიერ გაცემული ნებართვების გაუქმების გზით.

ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის უფლების შეწყვეტა ცხოველთა სამყაროთი მოსარგებლეს არ ათავისუფლებს ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების დადგენილი წესების, ნორმებისა და სხვა მოთხოვნების დარღვევებისათვის პასუხისმგებლობისაგან.

კარი III

ცხოველთა სამყაროს დაცვა

თავი XI

ცხოველთა სამყაროს დაცვის ღონისძიებანი

მუხლი 39. ცხოველთა სამყაროს დაცვის უზრუნველყოფა.

ცხოველთა სამყაროს დაცვას უზრუნველყოფენ იმ გზით, რომ:

1) ადგენენ ცხოველთა სამყაროს დაცვის, რაციონალური გამოყენებისა და მომრავლების წესებსა და ნორმებს;

2) აწესებენ ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის აკრძალვასა და შეზღუდვას;

3) იცავენ თვითნებური სარგებლობისაგან და ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის დადგენილი წესის სხვა დარღვევებისაგან;

4) იცავენ ცხოველთა ბინადრობის გარემოს, გამრავლების პირობებსა და მიგრაციის გზებს;

5) უზრუნველყოფენ ცხოველთა დაღუპვის თავიდან აცილებას საწარმოო პროცესთა განხორციელების დროს;

6) ქმნიან ნაკრძალებს, აღკვეთილებს და გამოყოფენ სხვა განსაკუთრებით დაცულ ტერიტორიებს;

7) აშენებენ ტყეების პირობებში იშვიათ და გადაშენების პირას მისულ ცხოველთა სახეობებს;

8) ზღუდავენ ცხოველთა ამოღებას ზოოლოგიური კოლექციებისათვის;

9) უწევენ დახმარებას ცხოველებს დაავადების, სტიქიური უბედურების დროს და სხვა მიზეზების შედეგად მათი დაღუპვის საფრთხის შემთხვევაში;

10) აწყობენ მეცნიერულ კვლევას, რომლის მიზანია ცხოველთა სამყაროს დაცვის ღონისძიებათა დასაბუთება;

11) ზრდიან მოქალაქეებს ცხოველთა სამყაროსადმი ჰუმანური დამოკიდებულების სულისკვეთებით;

12) პროპაგანდას უწევენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ცხოველთა სამყაროს დაცვას;

13) ახორციელებენ სხვა ღონისძიებებს და აწესებენ სხვაგვარ მოთხოვნებს ცხოველთა სამყაროს დასაცავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ უ ხ ლ ი 40. ცხოველთა სამყაროს დაცვის წახალისების ღონისძიებანი

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით შეიძლება დაწესდეს საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, აგრეთვე მოქალაქეების მატერიალური და მორალური წახალისების ღონისძიებანი, რომლებიც სტიმულს აძლევენ ცხოველთა სამყაროს დაცვის ღონისძიებათა განხორციელებას.

მ უ ხ ლ ი 41. ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის შეზღუდვისა და აკრძალვის დაწესება

ცხოველთა შენარჩუნებისა და მომრავლების მიზნით ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის ცალკეულ სახეობათა განხორციელება, აგრეთვე ცალკეული სახეობის ცხოველთა გამოყენება შეიძლება შეიზღუდოს ან მთლიანად აიკრძალოს გარკვეულ ტერიტორიაზე ან განსაზღვრული ვადით სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი XII

ცხოველთა ბინადრობის გარემოს, გამრავლების პირობებისა და მიგრაციის გზების დაცვა

მ უ ხ ლ ი 42. საქმიანობის პირობები, რომელიც გავლენას ახდენს ცხოველთა სამყაროს მდგომარეობაზე

ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც გავლენას ახდენს ცხოველთა სამყაროს მდგომარეობაზე ცხოველთა ბინადრობის გარემოს, გამრავლების პირობებისა და მიგრაციის გზების დარღვევის შედეგად, უნდა ხორციელდებოდეს იმ მოთხოვნათა შესაბამისად, რომლებიც უზრუნველყოფენ ცხოველთა სამყაროს დაცვას.

მ უ ხ ლ ი 43. ცხოველთა ბინადრობის გარემოსა და გამრავლების პირობების დაცვის ღონისძიებანი დასახლებული პუნქტების, საწარმოებისა და სხვა ობიექტების განლაგების, დაპროექტებისა და მშენებლობის დროს

დასახლებული პუნქტების, საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების განლაგების, დაპროექტების და მშენებლობის დროს, არსებულთა სრულყოფისა და ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვისას, ყამირი მიწების, დაჭაობებული ტერიტორიების, სანაპირო და ბუჩქნარით დაფარული ტერიტორიების სამეურნეო ბრუნვაში მოქცევის. მიწების მელიორაციის, ტყეთსარგებლობის განხორციელების, გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოების შესრულების, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების, სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა საბალახო და გადასარეკი ადგილების განსაზღვრის, ტურისტული მარშრუტების შემუშავებისა და მოსახლეობის მასობრივი დასვენების ადგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების მოწყობის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს და განხორციელდეს ღონისძიებანი ცხოველთა ბინადრობის გარემოსა და გამრავლების პირობების შესანარჩუნებლად, აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნეს იმ უბნების ხელშეუხებლობა, რომლებიც წარმადგენენ განსაკუთრებულ ღირებულებას როგორც ცხოველთა ბინადრობის გარემო.

მ უ ხ ლ ი 44. ცხოველთა მიგრაციის გზების შენარჩუნების უზრუნველყოფა

რკინიგზის, გზატკეცილების, მილსადენი და სხვა სატრანსპორტო მაგისტრალების, ელექტრომგადამცემი და კავშირგაბმულობის ხაზების, აგრეთვე არხების, კაშხალებისა და სხვა ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა განლაგების, დაპროექტებისა და მშენებლობის დროს უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ცხოველთა მიგრაციის გზების შენარჩუნებას.

მ უ ხ ლ ი 45. იმ საწარმოთა, ნაგებობათა და სხვა ობიექტთა მშენებლობის ადგილის შეთანხმება, რომლებიც გავლენას ახდენენ ცხოველთა სამყაროს მდგომარეობაზე

იმ საწარმოთა, ნაგებობათა და სხვა ობიექტთა მშენებლობის ადგილი, რომლებიც გავლენას ახდენენ ცხოველთა სამყაროს მდგომარეობაზე ცხოველთა ბინადრობის გარემოს, გამრავლების პირობებისა და მიგრაციის გზების დარღვევის შედეგად, უნდა შეუთანხმონ სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილ ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების მოწესრიგების სახელმწიფო ორგანოებს და სხვა ორგანოებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი XIII

ცხოველთა დაღუპვის თავიდან აცილება საწარმოო პროცესთა განხორციელებისა და სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლოატაციის დროს

მ უ ხ ლ ი 46. ცხოველთა დაღუპვის თავიდან აცილება საწარმოო პროცესთა განხორციელებისა და სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლოატაციის დროს

საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და მოქალაქენი ვალდებულნი არიან განახორციელონ ცხოველთა დაღუპვის თავიდან აცილების ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო, ხე-ტყის დამამზადებელი და სხვა სამუშაოების შესრულების, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლოატაციის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამხმარი მცენარეულობის დაწვა, მასალების, ნედლეულისა და წარმოების ნარჩენების შენახვა ცხოველთა დაღუპვის თავიდან აცილების დადგენილ ღონისძიებათა განუხორციელებლად აკრძალულია.

თავი XIV

ცხოველთა დაცვა ნაკრძალებში და სხვა განსაკუთრებით დაცულ ტერიტორიებზე

მ უ ხ ლ ი 47. ცხოველთა დაცვა ნაკრძალებში, აღკვეთილებში და სხვა განსაკუთრებით დაცულ ტერიტორიებზე

აკრძალულია ნაკრძალთა ტერიტორიაზე ნადირობა, თევზჭერა, წყლის უხერხემლოთა და ზღვის ძუძუმწოვართა მოპოვება, აგრეთვე ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის სხვაგვარი სახეობანი და მენაკრძალეობის მიზნებთან შეუთავსებელი სხვა საქმიანობა.

აღკვეთილებში და სხვა განსაკუთრებით დაცულ ტერიტორიებზე შეიძლება მთლიანად აიკრძალოს ან შეიზღუდოს ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის ცალკეული სახეობანი და სხვა საქმიანობა, რომელიც შეუთავსებელია ცხოველთა სამყაროს დაცვის მიზნებთან.

მუხლი 48. ნაკრძალებში და სხვა განსაკუთრებით დაცულ ტერიტორიაზე ცხოველთა სამყაროს დაცვისა და სარგებლობის განხორციელების წესი

ნაკრძალებში, აღკვეთილებში და სხვა განსაკუთრებით დაცულ ტერიტორიებზე ცხოველთა სამყაროს დაცვისა და სარგებლობის განხორციელების წესს ადგენს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

თავი XV

იშვიათ და გადაშენების პირას მისულ სახეობათა ცხოველების დაცვა

მ უ ხ ლ ი 49. სსრ კავშირის წითელი წიგნი და საქართველოს სსრ წითელი წიგნი

„ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად იშვიათ და გადაშენების პირას მისულ ცხოველთა სახეობები შეიტანება იშვიათ და გადაშენების პირას მისული ცხოველებისა და მცენარეების სახეობათა წიგნებში — სსრ კავშირის წითელ წიგნსა და საქართველოს სსრ წითელ წიგნში. დებულება სსრ კავშირის წითელი წიგნის შესახებ მტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით, ხოლო დებულება საქართველოს სსრ წითელი წიგნის შესახებ — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ უ ხ ლ ი 50. იშვიათ და გადაშენების პირას მისულ ცხოველთა დაცვა

მოქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს იშვიათი და გადაშენების პირას მისულ ცხოველთა სახეობების დაღუპვა, რიცხვის შემცირება ან ბინადრობის გარემოს დარღვევა, არ დაიშვება.

იშვიათ და გადაშენების პირას მისულ ცხოველთა სახეობათა შენარჩუნების მიზნით, რომელთა მომრავლება ბუნებრივ პირობებში შეუძლებელია, სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების მოწესრიგების სახელმწიფო ორგანონები მოვალენი არიან მიიღონ საჭირო ზომები ამ სახეობების ცხოველთა მოშენებისათვის სათანადო პირობების შესაქმნელად.

მ უ ხ ლ ი 51. იშვიათ და გადაშენების პირას მისულ ცხოველთა სახეობების მოპოვების წესი

იშვიათი და გადაშენების პირას მისული ცხოველთა სახეობების მოპოვება სპეციალურად შექმნილ პირობებში მოსაშენებლად და შემდეგ ბუნებრივ გარემოში გასაშვებად, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი და სხვა მიზნებისათვის დაიშვება განსაკუთრებული ნებართვით, რომელსაც გასცემენ სპეციალურად საამისად უფლებამოსილი ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების მოწესრიგების სახელმწიფო ორგანონები.

თავი XVI

ზოოლოგიური კოლექციები

მ უ ხ ლ ი 52. ზოოლოგიური კოლექციების შექმნა და შევსება

საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ ზოოლოგიური კოლექციების (ზოოპარკების, ზოობაღების, ოკეანარიუმებისა და სხვა ცოცხალი კოლექციების, აგრეთვე ცხოველთა ფიტულების, პრეპარატებისა და ნაწილების კოლექციის სახით) შექმნა და შევსება სპეციალურად ამ მიზნისათვის გარემოდან ცხოველთა ამოღების გზით დაიშვება ნებართვით, რომელსაც გასცემენ სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების მოწესრიგების სახელმწიფო ორგანონები.

მოქალაქეთა პირად საკუთრებაში არსებული ზოოლოგიური კოლექციების შევსება და მოქალაქეთა მიერ ახალი კოლექციების შექმნა აკრძალულია, გარდა იმ კოლექციებისა, რომლებშიც შედის ნანადირევის, თევზჭერისა და ცხოველთა სამყაროთა სარგებლობის სხვა სახეობების ნადავლი, რაც ხორციელდება დაღგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

მ უ ხ ლ ი 53. ზოოლოგიური კოლექციების სახელმწიფო აღრიცხვა

ზოოლოგიური კოლექციები, რომლებსაც მეცნიერული, კულტურულ-საგანმანათლებლო, სასწავლო-აღმზრდელობითი ან ესთეტიკური ღირებულება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექვთ, ექვემდებარება სახელმწიფო აღრიცხვას. ასეთი კოლექციების მფლობელი საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და მოქალაქეები მოვალენი არიან დაიცვან ცხოველთა სამყაროს ობიექტების კოლექციათა შენახვის, აღრიცხვისა და გამოყენების წესები.

მ უ ხ ლ ი 54. ზოოლოგიური კოლექციების შექმნის, შევსების, შენახვის, გამოყენების და აღრიცხვის წესები

„ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად ზოოლოგიური კოლექციების შექმნის, შევსების, შენახვის, გამოყენებისა და აღრიცხვის წესები, ზოოლოგიური კოლექციებით ვაჭრობის წესები, აგრეთვე ცხოველთა სამყაროს კოლექციათა ობიექტებისა და პროდუქტების საზღვარგარეთ გადაგზავნისა და გატანის წესები მტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

თავი XVII

ცხოველთა დაცვა მცენარეთა დაცვის საშუალებებისა და სხვა პრეპარატების გამოყენებისას

მ უ ხ ლ ი 55. ცხოველთა დაცვა მცენარეთა დაცვის საშუალებების, მათი ზრდის სტიმულატორების, მინერალური სასუქებისა და სხვა პრეპარატების გამოყენებისას

მცენარეთა დაცვის საშუალებების, მათი ზრდის სტიმულატორების, მინერალური სასუქებისა და სახალხო მეურნეობაში გამოსაყენებელი სხვა პრეპარატების ხმარებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ცხოველთა სამყაროსა და მათი ბინადრობის გარემოს დაცვის მოთხოვნები. მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებებისა და სხვა პრეპარატების გამოყენება ცხოველთა სამყაროზე მათი მავნე გავლენის შემცირების მიზნით შეხამებული უნდა იყოს აგროტექნიკური, სასელექციო-გენეტიკური, ბიოლოგიური და სხვა ღონისძიებების განხორციელებასთან.

ცხოველთა დაღუპვისა და მათი ბინადრობის გარემოს გაუარესების თავიდან აცილების მიზნით კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სატყეო მეურნეობები და სხვა საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და მოქალაქენი მოვალენი არიან დაიცვან აღნიშნული პრეპარატების ტრანსპორტირების, შენახვისა და გამოყენების წესები.

ახალი პრეპარატების შექმნისას უნდა შემუშავდეს გარემო ბუნებაში მათი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის ნორმატივები, რომლებიც უზრუნველყოფენ ცხოველთა და მათი ბინადრობის გარემოს დაცვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ უ ხ ლ ი 56. მცენარეთა დაცვის საშუალებებისა და სხვა პრეპარატების ხმარების წესების შეთანხმება

მცენარეთა დაცვის საშუალებების, მათი ზრდის სტიმულატორების, მინერალური სასუქებისა და სახალხო მეურნეობაში გამოსაყენებელი სხვა პრეპარატების ხმარების წესები, აგრეთვე აღნიშნული პრეპარატების ნუსხა შეთანხმებული უნდა იქნეს სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილ ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების მოწესრიგების სახელმწიფო ორგანოებთან.

თავი XVIII

ცხოველთა გადასახლება, აკლიმატიზაცია და შეჯვარება

მ უ ხ ლ ი 57. ცხოველთა გადასახლება, აკლიმატიზაცია და შეჯვარება

ცხოველთა გადასახლება ბინადრობის ახალ ადგილებში, სსრ კავშირის ფაუნისათვის ახალ სახეობათა ცხოველების აკლიმატიზაცია, აგრეთვე ცხოველთა შეჯვარების ღონისძიებანი დაიშვება სამეცნიერო-კვლევითი და სამეურნეო მიზნებისათვის შესაბამის სამეცნიერო ორგანიზაციათა დასკვნების გათვალისწინებით სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების მოწესრიგების სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებით.

ცხოველთა თვითნებური გადასახლება, აკლიმატიზაცია და შეჯვარება აკრძალულია.

თავი XIX

ბუნებრივი ობიექტებით მოსარგებლეთა უფლებების შეზღუდვა და მათთვის მოვალეობათა დაკისრება ცხოველთა სამყაროს დაცვის ინტერესებისათვის

მ უ ხ ლ ი 58. ბუნებრივი ობიექტებით მოსარგებლეთა უფლებების შეზღუდვა და მათთვის მოვალეობათა დაკისრება ცხოველთა სამყაროს დაცვის ინტერესებისათვის

ცხოველთა სამყაროს დაცვის ინტერესებისათვის მიწათმოსარგებლეთა, ტყითმოსარგებლეთა, წყალმოსარგებლეთა და წიაღით მოსარგებლეთა უფლებები შეიძლება შეიზღუდოს და მათ შეიძლება დაეკისროთ შესაბამისი მოვალეობანი სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარი IV

ცხოველთა სახელმწიფო აღრიცხვა და ცხოველთა სამყაროს სახელ-მწიფო კადასტრი

მ უ ხ ლ ი 59. ცხოველთა და მათი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვა და ცხოველთა სამყაროს სახელმწიფო კადასტრი

ცხოველთა სამყაროს დაცვისა და რაციონალური გამოყენების ორგანიზაციის უზრუნველსაყოფად წარმოებს ცხოველთა და მათი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვა და ცხოველთა სამყაროს სახელმწიფო კადასტრი, რომელიც შეიცავს ცხოველთა სახეობების (სახეობათა ჯგუფების) გეოგრაფიული გავრცელების, მათი რიცხვის ამსახველი ცნობების ერთობლიობას, მათთვის საჭირო საკვლევების დახასიათებას, ცხოველთა თანამედროვე სამეურნეო გამოყენების დახასიათებას და სხვა საჭირო მონაცემებს.

მ უ ხ ლ ი 60. ცხოველთა და მათი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვისა და ცხოველთა სამყაროს სახელმწიფო კადასტრის წარმოების წესი

„ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად ცხოველთა და მათი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვა და ცხოველთა სამყაროს სახელმწიფო კადასტრის წარმოება ხორციელდება სახელმწიფოს ხარჯზე სსრ კავშირისათვის ერთიანი სისტემის მიხედვით.

საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები ვალდებული არიან მათ განკარგულებაში არსებული ცხობები გარეულ ცხოველთა გავრცელების, რიცხვისა და გამოყენების შესახებ წარუდგინონ ორგანოებს, რომლებიც აწარმოებენ ცხოველთა სამყაროს სახელმწიფო კადასტრს.

ცხოველთა და მათი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის, ცხოველთა სამყაროს სახელმწიფო კადასტრის წარმოების, იმ სახეობათა ცხოველების (სახეობათა ჯგუფების) ნუსხის განსაზღვრის წესები, რომლებიც სახელმწიფო აღრიცხვას და სახელმწიფო კადასტრში შეტანას ექვემდებარებიან, აგრეთვე აღრიცხვისა და კადასტრის წარმოებისათვის საჭირო მონაცემების წარდგენის წესები მტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

კ ა რ ი V

კონტროლი ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენებისადმი

მ უ ხ ლ ი 61. სახელმწიფო კონტროლი ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენებისადმი

ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენებისადმი სახელმწიფო კონტროლის ამოცანაა უზრუნველყოს ყველა სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უწყების, სახელმწიფო, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, აგრეთვე მოქალაქის მიერ ცხოველთა სამყაროს დაცვის მოვალეობათა შესრულება, ცხოველთა სამყაროს სარგებლობის დადგენილი წესისა და ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესების დაცვა.

მ უ ხ ლ ი 62. ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენებისადმი სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოები

ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენებისადმი სახელმწიფო კონტროლს ახორციელებენ სახალხო დეპუტატთა საბჭოები, მათი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები, აგრეთვე სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების მოწესრიგების სახელმწიფო ორგანოები სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მ უ ხ ლ ი 63. ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენებისადმი სახელმწიფო კონტროლის განხორციელება

სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების მოწესრიგების სახელმწიფო ორგანოები ამოწმებენ:

ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების წესების, ნორმების, ვადებისა და სხვა მოთხოვნების შესრულებას;

ცხოველთა და მათი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვისა და ცხოველთა სამყაროს სახელმწიფო კადასტრის წარმოების დადგენილი წესის დაცვას;

ცხოველთა ბინადრობის გარემოს, გამრავლების პირობებისა და მიგრაციის გზების შენარჩუნების ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელების სისწორესა და დროულობას.

მ უ ხ ლ ი 64. სპეციალურად უფლებამოსილი ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების მოწესრიგების სახელმწიფო ორგანოების უფლებები

სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილ ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების მოწესრიგების სახელმწიფო ორგანოებს უფლება აქვთ:

შეწყვიტონ ცხოველთა სამყაროთი თვითნებური სარგებლობა, აგრეთვე ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების დადგენილი წესების, ნორმების, ვადებისა და სხვა მოთხოვნების დარღვევით განხორციელებული სარგებლობა;

გასცენ შესასრულებლად სავალდებულო მითითებები ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების წესების, ნორმების, ვადებისა და სხვა მოთხოვნების დარღვევათა აღმოფხვრის შესახებ;

შეაჩერონ სამუშაოები, რომელთა განხორციელებისას სისტემატურად ირღვევა ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების, ცხოველთა ბინადრობის გარემოს, გამრავლების პირობებისა და მიგრაციის გზების დაცვის წესები, ნორმები და სხვა მოთხოვნები, სანამ არ აღმოიფხვრება ეს დარღვევები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილი წესით მისცენ პასუხისგებაში ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების წესების, ნორმების, ვადებისა და სხვა მოთხოვნების დამრღვევნი ან გადაუგზავნონ მასალები სამართალდარღვევების შესახებ შესაბამის ორგანოებს.

სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილ ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების მოწესრიგების სახელმწიფო ორგანოებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით შეიძლება მიეცეთ აგრეთვე სხვა უფლებები ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების წესების, ნორმებისა და სხვა მოთხოვნების დარღვევათა თავიდან ასაცილებლად და აღსაკვეთად.

მ უ ხ ლ ი 65. ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების მოწესრიგების სახელმწიფო ორგანოების წესებისა და ინსტრუქციების შესრულების აუცილებლობა

სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების მოწესრიგების სახელმწიფო ორგანოების წესები და ინსტრუქციები, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დაწესებული უფლებების ფარგლებში, უთუოდ უნდა შეასრულოს ყველა სამინისტრომ, სახელმწიფო კომიტეტმა და უწყებამ, საწარმომ, დაწესებულებამ, ორგანიზაციამ, აგრეთვე მოქალაქემ.

მ უ ხ ლ ი 66. საუწყებო კონტროლი ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენებისადმი

ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენებისადმი საუწყებო კონტროლს ახორციელებენ ორგანოები, რომელთა გამგებლობაში არიან ცხოველთა სამყაროს ობიექტებით მოსარგებლე საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები.

საუწყებო კონტროლის განხორციელებისას სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები ვალდებული არიან იხელმძღვანელონ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით, იმ წესებითა და ინსტრუქციებით, რომლებსაც ამტკიცებენ სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების მოწესრიგების სახელმწიფო ორგანოები.

კარი VI

ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის საკითხთა გამო დავის გადაწყვეტა

მ უ ხ ლ ი 67. ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის საკითხთა გამო დავის გადაწყვეტის წესი

საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს შორის დავა ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის საკითხებზე წყდება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲙᲐᲠᲘ VII

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

მ უ ხ ლ ი 68. ცხოველთა სამყაროს სახელმწიფო საკუთრების უფლების დამრღვევ გარიგებათა ბათილობა

ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის უფლების თვითნებური დათმობა, აგრეთვე სხვა გარიგებანი, რომლებიც აშკარად ან ფარული ფორმით არღვევენ ცხოველთა სამყაროს სახელმწიფო საკუთრების უფლებას, ბათილია.

მ უ ხ ლ ი 69. პასუხისმგებლობა ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების კანონმდებლობის დარღვევისათვის

პირებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ამ კანონის 68-ე მუხლში აღნიშნულ გარიგებათა დადებაში, აგრეთვე იმაში, რომ:

თვითნებურად ისარგებლეს ცხოველთა სამყაროს ობიექტებით;

დაარღვიეს ნადირობის, თევზჭერისა და ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის სხვა სახეობათა წესები;

დაარღვიეს ცხოველთა ბინადრობის გარემოსა და მიგრაციის გზების დაცვის წესები;

თვითნებურად მოახდინეს ცხოველთა გადასახლება, აკლიმატიზაცია და შეჯვარება;

დაარღვიეს მცენარეთა დაცვის საშუალებების, მათი ზრდის სტიმულატორების, მინერალური სასუქებისა და სხვა პრეპარატების გამოყენების წესები, რამაც ზიანი მიაყენა ცხოველთა სამყაროს;

დაარღვიეს ცხოველთა სამყაროს ობიექტებისა და ზოოლოგიური კოლექციების საზღვარგარეთ გადაგზავნისა და გატანის წესები;

დაარღვიეს იშვიათ და გადაშენების პირას მისულ ცხოველთა დაცვის წესები,

ეკისრებათ სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული ან სხვაგვარი პასუხისმგებლობა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით შეიძლება დაწესდეს პასუხისმგებლობა ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ კანონმდებლობის სხვა დარღვევებისთვისაც.

მ უ ხ ლ ი 70. ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ კანონმდებლობის დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, აგრეთვე მოქალაქენი მოვალენი არიან ანაზღაურონ ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახებ კანონმდებლობის დარღვევით მიყენებული ზიანი სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი ოდენობითა და წესით. თანამდებობის პირებსა და სხვა მუშაკებს, რომელთა ბრალითაც საწარმომ, დაწესებულებამ და ორგანიზაციამ გასწია ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ხარჯები, ეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა დადგენილი წესით.

მ უ ხ ლ ი 71. უკანონოდ მოპოვებული ცხოველების და მათგან გამომუშავებული პროდუქციის ჩამორთმევა

უკანონოდ მოპოვებული ცხოველები და მათგან გამომუშავებული პროდუქცია ჩამორთმეული უნდა იქნეს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

უკანონოდ მოპოვებული ცხოველებისა და მათგან გამომუშავებული პროდუქციის ჩამორთმევის შეუძლებლობის შემთხვევაში გადახდევინებულ იქნება მათი ღირებულება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი ფასებით.

კარი VIII

საერთაშორისო ხელშეკრულებანი

მ უ ხ ლ ი 72. საერთაშორისო ხელშეკრულებანი

„ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად თუ სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილია ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ საბჭოთა კანონმდებლობისაგან განსხვავებული წესები, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების წესები.

ასეთივე წესი გამოიყენება ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ საქართველოს სსრ კანონმდებლობის მიმართ, თუ საქართველოს სსრ საერთაშორისო ხელშეკრულებაში დადგენილია ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ საქართველოს სსრ კანონმდებლობისაგან განსხვავებული წესები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

133 „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 18 ივნისის გრძანებულება „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 19 ივნისი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

134 საქართველოს სსრ ხილ-ბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს შექმნისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები:

1981 წლის 2 თებერვლისა — „საქართველოს სსრ ხილ-ბოსტნეულის მეურნეობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ“;

1981 წლის 13 თებერვლისა — „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 25-ე და 34-ე მუხლებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 19 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

135 **საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების თაობაზე**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1980 წლის 25 დეკემბრისა — „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე“;

1981 წლის 20 იანვრისა — „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 234-ე მუხლში ცვლილებათა შეტანის შესახებ“;

1981 წლის 5 მარტისა — „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“;

1981 წლის 28 აპრილისა — „ამხანაგური სასამართლოების შესახებ და ამხანაგური სასამართლოების მუშაობის საზოგადოებრივი საბჭოების შესახებ დებულებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;

1981 წლის 11 ივნისისა — „საქართველოს სსრ მიწის კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“;

1981 წლის 18 ივნისისა — „საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის შესახებ დებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე“;

1981 წლის 18 ივნისისა — „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განსახილველად საკითხების შეტანის წესის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 19 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲘ

136 ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲬᲔᲕᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲐᲓᲒᲔᲜᲡ:

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲓᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜ-ᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ:

1981 ᲬᲚᲘᲡ 9 ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲡᲐ — „ᲐᲛᲮ. ნ. Ა. ᲛᲔᲪᲛᲐᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“;

1981 ᲬᲚᲘᲡ 9 ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲡᲐ — „ᲐᲛᲮ. ვ. ტ. ᲒᲝᲒᲝᲪᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“;

1981 ᲬᲚᲘᲡ 2 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲚᲘᲡᲐ — „ᲐᲛᲮ. თ. კ. ᲯᲐᲑᲐᲓᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲮᲚ-ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“;

1981 ᲬᲚᲘᲡ 21 Ა�პᲠᲘᲚᲘᲡᲐ — „ᲤᲐ. Ა. ᲐᲜᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲤᲘ-ᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“;

1981 ᲬᲚᲘᲡ 8 ᲛᲐᲘᲡᲘᲡᲐ — „ᲐᲛᲮ. დ. ნ. ᲓᲕᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲤᲘ-ᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Პ. ᲑᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ Თ. ᲚᲐᲨᲭᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 1981 ᲬᲚᲘᲡ 19 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ.

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲘ

137 ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲐᲓᲒᲔᲜᲡ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 1 აპრილის ბრძანებულება — „საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებათა შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 19 ივნისი.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

138 დეპუტატ თ. შ. ქაბულოვას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდეს დეპუტატი თამარ შალვას ასული **ქაბულოვა** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 19 ივნისი.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

139 დეპუტატი ბ. ბ. ტეხოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩეულ იქნეს დეპუტატი ბაგრატ ბესარიონის ძე **ტეხოვი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 19 ივნისი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

140 დეპუტატ ჰ. ი. მარდანოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდეს დეპუტატი ჰენრიხ ირაკლის ძე **მარდანოვი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 19 ივნისი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

141 დეპუტატ თ. შ. ქაბულოვას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს დეპუტატი თამარ შალვას ასული **ქაბულოვა** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 19 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

142 დეპუტატ ჟ. კ. შარტავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდეს დეპუტატი ჟიული კალისტრატეს ძე **შარტავა** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 19 ივნისი.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

143 დეპუტატ ი. ნ. ორჯონიკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს დეპუტატი იოსებ ნიკოლოზის ძე **ორჯონიკიძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 19 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

144 **დეპუტატ დ. ნ. დვალიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდეს დეპუტატი დემურ ნოეს ძე **დვალიშვილი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ვილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 19 ივნისი.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

145 **დეპუტატ ა. ჩილინდრიშვილის მიერ შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხზე**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დეპუტატ ა. ჩილინდრიშვილის მიერ შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ ო. ვარძელაშვილის ინფორმაცია მიღებულ იქნეს ცნობად.

2. მოწონებულ იქნეს ბაბაშის, გარდაბნისა და მახარაძის სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოების მუშაობა „მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 8 იანვრის დადგენილებისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 15 აპრილის შესაბამისი დადგენილების შესასრულებლად და რეკომენდაცია მიეცეთ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოებს დანერგონ მათი გამოცდილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განახორციელოს სათანადო ღონისძიებანი პირად დამხმარე მეურნეობებში პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გასაადიდებლად საზოგადოებრივ და დამხმარე მეურნეობათა ძალების კოოპერირების განვითარებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 19 ივნისი.

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲘ

146 ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠ-ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲗ ᲓᲐᲧᲠᲔᲜᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲖᲔ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დეპუტატების ტ. ახობაძის, მ. ბიწაძის, ე. მირიანაშვილის, ლ. ნაჭყებიას და მ. ჩიხლაძის მიერ შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხზე საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. ო. ქვილითაიას ინფორმაცია მიღებულ იქნეს ცნობად.

2. დაევალოთ რესპუბლიკის შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს უზრუნველყონ ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდება და ხარისხის ამაღლება სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად.

3. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო მოხმარების საქონლისა და ვაჭრობის კომისიას პერიოდულად შეისწავლოს და თავის სხდომაზე განიხილოს ფართო მოხმარების საქონლის წარმოებისა და ხარისხის ამაღლების საკითხები, აგრეთვე ამ საქონლით მოსახლეობის უზრუნველყოფის მდგომარეობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 19 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

147 დეპუტატების ე. რომანოვას და ს. ჩოხელის შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის დეპუტატ ო. ლოლაშვილის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რუსთავის ცემენტის ქარხნის რეკონსტრუქცია უნდა დამთავრდეს 1982 წლისათვის, ხოლო კასპის ცემენ-ტის ქარხნისა — ხუთწლედის ბოლოსათვის, მიღებულ იქნეს ცნობად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების კომისიას კონტროლი დააწესოს აღნიშნული სამუშაოების დროულად შესრულებაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 19 ივნისი.